

**მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში
და მისი
სოციალურ-პოლიტიკური შედეგები**

რევაზ გაჩეჩილაძე

სადისკუსიო წერილების სერია

1

გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა – საქართველო

თბილისი 1997

გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისის სახსრებით

რეგაზ განვილაძე. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და
მისი სოციალურ-პოლიტიკური შედეგები

სერიის რედაქტორი: გ ი ა ნ ო დ ი ა
ყდის დიზაინი: მ ი ხ ე ი ლ ქ ო ჩ ა კ ი ძ ე
ენობრივი რედაქცია: ზ ე ი ნ ა ბ ს ა რ ა ძ ე

ამ გამოცემის რედაქტირება, თარგმნა, დაკაბადონება და დაბეჭდვა
კოორდინირებულია მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური
ინსტიტუტის მიერ.

დავით აღმაშენებლის გამზირი 89/24, ტელ.: 954723, ფაქსი: 953287

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 5

ნაწილი პირველი

საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის თავისებურებები
დამოუკიდებლობის აღდგენამდე 9

1. მიგრაციის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური ფონი საქართველოში
1990-იან წლებამდე 9
2. გარე მიგრაცია საქართველოში მეორე მსოფლიო ომამდე 10
3. გარე მიგრაცია 1950-1980-იანი წლების საქართველოში 14
4. მოსახლეობის შიდა მიგრაცია მე-20 საუკუნის საქართველოში 17
5. მიგრაციის ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური შედეგი საქართველოში:
ურბანიზაცია, დეპოპულაცია, ეროვნული კონსოლიდაცია 20

ნაწილი მეორე

საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია 1990-იან წლებში. 25

1. მიგრაციის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფონი
თანამედროვე საქართველოში და ინფორმაციის წყაროების
მდგომარეობა 25
2. საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის დინამიკა 1990-იან
წლებში 28
3. გარემიგრაციული სალდოს დადგენის ცდა 31
4. გარემიგრანტთა ეთნიკური სტრუქტურა 36
5. თბილისის მოსახლეობის მიგრაცია ეთნიკური ჯგუფების მიხედვით 38
6. გარე მიგრანტთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა 41
7. ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფის მიგრაციული განწყობა 43
8. გარე მიგრაციის გეოგრაფია 46
9. თანამედროვე შიდა მიგრაციის ძირითადი თავისებურებები
საქართველოში 50
10. თანამედროვე მიგრაციის სოციოლოგიური მეთოდით შესწავლის ცდა 54

დასკვნები 57
ბაზო 59
შენიშვნები 59
ბამოყენებული ლიტერატურის სია 60

ედღენება ვახტანგ ჯაოშვილის ნათელ ხსოვნას

შ მ ს ა ვ ა ლ ი

მოსახლეობის მიგრაცია, ანუ ინდივიდებისა თუ ადამიანთა ჯგუფების მიერ საცხოვრებელი ადგილის მუდმივად ან ხანგრძლივი ვადით შეცვლა, რომელიც კულტურული დიფუზიის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს, ოდითგანვე იყო ადამიანის მიერ ოიკუმენის გაფართოების საშუალება. ათეულ ათასობით წლების განმავლობაში ადამიანთა მოღვამ თანდათან დაასახლა ხმელეთის უდიდესი ნაწილი. მიგრაციული აქტიურობის შედეგია ეთნიკურ და პოლიტიკურ რუკაზე განუწყვეტილვ მიმდინარე ცვლილებები. თანამედროვე ერების უმრავლესობის ჩამოყალიბებაში მოსახლეობის მიგრაციის გავლენა დიდი იყო.

ისტორიულ ეპოქებთან ერთად იცვლებოდა ადამიანთა მიგრაციის მიმართულებები, მაგრამ არ იცვლებოდა მიგრაციის ძირითადი მიზეზები. ისინი შეიძლება დავაჯგუფოთ სამ ძირითად კატეგორიად. მიგრაციის მიზეზები შეიძლება ყოფილიყო და ჯერაც არის:

ა) საარსებო და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა, რასაც *"სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი"* შეიძლება ვუწოდოთ (ბუნებრივია, კონკრეტული თავისებურება ყველა ეპოქაში განსხვავებულია);

ბ) ის საფრთხე, რომელსაც ადამიანთა ჯგუფებს (ორგანიზებულებს, როგორც თემი, ტომი, ეთნოსი და სხვ.) უქმნიდნენ და უქმნიან ადამიანთა სხვა, კონკურენტული ჯგუფები, რასაც შეიძლება ვუწოდოთ *"პოლიტიკური ფაქტორი"*;

გ) ის საფრთხე, რომელსაც ადამიანთა ჯგუფებს უქმნიდნენ და უქმნიან ბუნებრივი პირობები, მაგალითად, სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, გვალვა, მიწისძვრა, ზვავები და ა.შ.), თუ ცხოველთა სამყარო (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კაცობრიობის გარიჟრაჟზე, მაგრამ თანამედროვე ეპოქაშიც, მაგალითად, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში სხვადასხვა მწერი გარკვეული მიზეზი შეიძლება გახდეს მოსახლეობის მიგრაციისათვის) - ამას შეიძლება ვუწოდოთ *"ეკოლოგიური ფაქტორი"*.

მიგრაციის ყველა მიზეზი შეიძლება დაჯგუფდეს ამ კატეგორიებში. მათ შეიძლება დაემატოს მხოლოდ არანებაყოფლობითი მიგრაციები (მაგალითად, ტყვეების მონებად გაყიდვა ადრეულ ეპოქებში; მოსახლეობის ეთნიკური ან სოციალური ჯგუფების იძულებითი დეპორტაცია, ეთნიკური წმენდა, რაც, სამწუხაროდ, მე-20 საუკუნეშიც გვხვდება და არც თუ მცირე მასშტაბით).

მიგრაციები ტრადიციულად განიყოფა შიდა და გარე მიგრაციად. რასაკვირველია, ეს სწორია, თუ სახელმწიფო საზღვრებს ავიღებთ როგორც ძირითად კრიტერიუმს. წინამდებარე შრომაც ამ პრინციპით განიხილავს მათ. მეორე მხრივ ეს ერთადერთი და ყველაზე ზუსტი დაყოფა არაა, ვინაიდან ხანდახან შეიცავს ორზროვნებას. მაგალითად, განა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მიმდინარე მიგრაციული გაცვლა (რომელიც საბჭოთა პერიოდში შიდა მიგრაციად ითვლებოდა) რეალურად გარე მიგრაცია არ იყო, დაუშვავთ, საქართველოსათვის?

მიგრაციების დაჯგუფება შეიძლება სხვანაირადაც (იხ.: Dictionary, 1994): არსებობს მიგრაცია საერთაშორისო (სხვანაირად - გარე), რეგიონთაშორისი, საქალაქთაშორისი, სოფელსა და ქალაქს შორის, სოფელსა და სოფელს შორის და შიდასაქალაქო. სხვა კრიტერიუმები შეიძლება მოიცავდეს დროს (სამუდამო/დროებითი), მანძილს (შორეული/მოკლე), გადაწყვეტილების მიღებას (ნებაყოფლობითი/იძულებითი), რაოდენობას (ცალკეული პირები/მასობრივი), მიგრანტების სოციალურ ორგანიზებულობას (ოჯახური/კლანური/ინდივიდუალური), პოლიტიკურ ორგანიზებულობას (გეგმაზომიერი/სტიქიური), მიზეზობრიობას (სოციალურ-ეკონომიკური/პოლიტიკური/ეკოლოგიური) და მიზნებს (კონსერვატიული/ინოვაციური).

მიგრაციის მეცნიერული შესწავლა ემსახურება პრაქტიკულ მიზანს - დადგინდეს მოსახლეობის გადაადგილების მიზეზები, მიმართულება, ინტენსიობა და ა.შ. და ამ გადაადგილების შედეგები, ანუ გავლენა ადამიანების გასვლისა და შემოსვლის ადგილებში საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაზე, მოსახლეობის დემოგრაფიულ (სოციალურ, ეთნიკურ და ა.შ.) სტრუქტურაზე და ბუნებრივ გარემოზე.

თუმცა დასავლეთ-ევროპულ და ჩრდილო-ამერიკულ მეცნიერებაში არსებობდა ცდები მიგრაცია ინტეგრირებული ყოფილიყო ეკონომიკურ და სოციალურ თეორიაში, სივრცობრივ ანალიზსა და ბიჰევიორისტულ თეორიაში, მოსახლეობის მიგრაცია კვლავაც რჩება უპირატესად დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის კვლევის საგნად. 1950-იანი წლებიდან მიგრაციის საკითხები საბჭოთა მეცნიერების სფეროშიც აღმოჩნდა, ვინაიდან უზარმაზარ საბჭოთა კავშირში მოსახლეობის გადაადგილებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ტერიტორიის ასათვისებლად.

მოუხედავად საკმაოდ კარგი შესწავლილობისა, ითვლება, რომ მიგრაციის რაიმე მწყობრი თეორია ჯერ ვერ ჩამოყალიბდა. ამასთან აღნიშვნის ღირსია საკმაოდ წარმატებული ცდა, შექმნილიყო მეტნაკლებად უნივერსალური ახსნა მოსახლეობის მიგრაციისათვის. მე-19 საუკუნის მიწურულში ამერიკელმა მეცნიერმა ე. რავენსტაინმა ჩამოაყალიბა დებულებების რიგი, რომელთაც იგი "მიგრაციის კანონებს" უწოდებდა (მათ დასადგენად დაკვირვების ობიექტად ავტორმა აიღო უკვე იმ დროს ეკონომიკურად განვითარებული ჩრდილო ამერი-

კა და დასავლეთი ევროპა). მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ მთელი საუკუნე გავიდა, რავენსტაინის "კანონების" უმრავლესობა კვლავაც ინარჩუნებს აქტუალურობას და შემდგომდროინდელი მეცნიერები მათ მოდიფიცირებას უფრო ახერხებდნენ, ანდა ავსებდნენ მათ, ვიდრე არსებითად უარყოფდნენ ან ცვლიდნენ. რავენსტაინის "მიგრაციის კანონები" ასეა ჩამოყალიბებული (დ. გრიგის მიხედვით [Grigg, 1977]; "კანონების" ნუმერაცია ჩემია. *რ.გ.*):

1. მიგრანტების უმრავლესობა მოკლე მანძილზე გადაადგილდება;
2. მიგრაცია ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ (თანდათანობით);
3. მიგრანტები, რომლებიც შორ მანძილზე მიდიან, ამჯობინებენ მსხვილ სამრეწველო და კომერციულ ცენტრებში წასვლას;
4. თითოეული მიგრაციული ნაკადი წარმოქმნის კომპენსაციურ საწინააღმდეგო ნაკადს;
5. ქალაქის მცხოვრებნი უფრო ნაკლებად მონაწილეობენ მიგრაციაში, ვიდრე სოფლის მცხოვრებნი;
6. ქალები უფრო მეტად მონაწილეობენ მიგრაციაში იმ ქვეყნის შიგნით, სადაც დაიბადნენ, ვიდრე მამაკაცები; მაგრამ თავისი ქვეყნის გარე მიგრაციაში ქალებზე უფრო მეტად მამაკაცები მონაწილეობენ;
7. მიგრანტების უმრავლესობა სრულწლოვანია; მთლიანი ოჯახები იშვიათად ტოვებენ იმ ქვეყანას, სადაც მისი წევრები დაიბადნენ;
8. დიდი ქალაქები უფრო მეტად იზრდება მიგრაციის შედეგად, ვიდრე ბუნებრივი მატების შედეგად;
9. მიგრაციის სიდიდე მატულობს, როდესაც ვითარდება მრეწველობა და კომერცია და უმჯობესდება ტრანსპორტი;
10. მიგრაციის ძირითადი მიმართულებაა სასოფლო-სამეურნეო რეგიონებიდან სამრეწველო და კომერციულ ცენტრებში გადაადგილება;
11. მიგრაციის ძირითადი მიზეზი ეკონომიკურია.

ამ დებულებებს "კანონები" პირობითად ეწოდება, ვინაიდან ყველა ისტორიულ ეპოქაში უნივერსალური ხასიათი მათ არ შეიძლება ჰქონდეთ, მაგრამ ისიც ნათელია, რომ მრავალი მათგანი საკვებით შეესაბამებოდა არც თუ შორეული წარსულის საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის სურათს და, წინამდებარე შრომის სამუშაო ჰიპოთეზით, ახლაც საკმაოდ კარგად უნდა ესადაგებოდეს ჩვენს რეალობას. ამიტომაც ავტორმა საჭიროდ მიიჩნია. მათი მიმართება საქართველოში გაბატონებულ მიგრაციულ ტენდენციებთან შეემოწმებინა.

წინამდებარე შრომას არა აქვს პრეტენზია ამომწურავად გააშუქოს მიგრაციული პროცესების ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში. მისი მიზანი უფრო ვიწროა: არსებული (თავიდანვე ვიტყვი - საკმაოდ შეზღუდული) ინფორმაციის გაანალიზების ფონზე შესთავაზოს მკითხველს გარკვეული მოსაზრებები საქართველოს მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაციის

ავ-კარგზე. ცნობილია, რომ არსებობს გარკვეული განწყობა, მხოლოდ ნეგატიურად შეფასდეს მოსახლეობის მიგრაცია (განსაკუთრებით - გარე, აგრეთვე სოფლიდან ქალაქად), არსებობს ალარმისტული განწყობებიც - ემიგრაციის შედეგად ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დრამატული კლების შესახებ. გააჩნიათ თუ არა ამ განწყობებს რეალური საფუძველი? დამაჯერებელი ინფორმაცია ამის შესახებ საკმაოდ მწირია. ამიტომაც ავტორი შეეცადა, შეზღუდული პირობების მიუხედავად, ჩაეტარებინა სოციოლოგიური გამოკვლევა (უფრო ზუსტად - პილოტაჟური გამოკითხვა), რათა შესაძლებელი გამხდარიყო მიგრაციის პროცესის გარკვეული ტენდენციების განსაზღვრა.

საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესები (მათ შორის ისტორიულ ქრილში) მე-20 საუკუნის ქართველ მეცნიერთა გამოწვლილვითი კვლევის საგანი გახდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსახლეობის გეოგრაფიისა და დემოგრაფიის დიდი მკვლევარის ვახტანგ ჯაოშვილის შრომები. ამ საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი შრომები კოტე ანთაძემ, ლამარა ბერიძემ, თამაზ გუგუშვილმა, პაატა გუგუშვილმა, ვაჟა გუჯაბიძემ, ზურაბ დავითაშვილმა, თამაზ ზუბიაშვილმა, ანზორ თოთაძემ, ლუარსაბ კარბელაშვილმა, აკაკი კაცაძემ, ავთანდილ სულაბერიძემ, მირიან ტუხაშვილმა, თამარ ლამბაშიძემ, გია წულაძემ და სხვებმა.

ნ ა წ ი ლ ო პ ი რ ვ ე ლ ო

**საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის თავისებურებები
და მოუპოვებლობის აღგზნება**

**1. მიგრაციის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური ფონი საქართველოში
1990-იან წლებამდე**

საბჭოთა ეპოქაში ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებსა და ეთნოსებსაც კი დაუმკვიდრდათ მიგრაციული მობილურობის სტერეოტიპი: მაგალითად, ითვლებოდა, რომ ტაჯიკები, უზბეკები, ქართველები და ზოგი სხვა უფრო მეტად იყვნენ მიჯაჭვული თავის რესპუბლიკებს და ნაკლებად გადიოდნენ სხვაგან საცხოვრებლად, მშინ როცა, ვთქვათ, რუსეთის ფედერაციის მოსახლეობა, განსაკუთრებით ეთნიკურად რუსული და თათრული, აგრეთვე სომხები, უკრაინელები, ოსები და სხვები მზად იყვნენ, ნებისმიერ ადგილას ეცხოვრათ. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეს საკმაოდ მდგრადი სტერეოტიპი ყოველთვის არ შეესაბამებოდა რეალობას, და თუ მას გარკვეული სტატისტიკური დასაბუთება ახლდა, ეს უკანასკნელი საფუძვლიან ახსნას საჭიროებდა.

მართლაც, სტატისტიკა თითქოს გვიჩვენებდა, რომ ქართველები "სახლში ჯდომის მოყვარულები" იყვნენ, მშინ როცა სხვა ეთნოსების წარმომადგენლები საქართველოში შემოდისოდნენ და გადიოდნენ. მაგალითად, 1979 წლის აღწერის მასალების შესაბამისად, საბჭოთა კავშირის ქართველთა 96.5% საქართველოს სსრ-ში ცხოვრობდა, ხოლო, მაგალითად, ეთნიკურად რუსების მეოთხედზე მეტი და სომხების მესამედზე მეტი - თავისი შესაბამისი რესპუბლიკების გარეთ. 1989 წლისათვის ქართველების "რესპუბლიკაზე მიჯაჭვულობის" კოეფიციენტი შემცირდა 1.5 პროცენტული პუნქტით, მაგრამ ეს მაინც ყველაზე მაღალ მაჩვენებლად რჩებოდა ძირითად საბჭოთა ერებს შორის. ქართველთა კომპაქტური განსახლება, განსაკუთრებით სასოფლო ადგილას, საქართველოს სსრ-ს ფარგლებს გარეთ პრაქტიკულად არ გვხვდებოდა (საინგილო მიგრაციის მაგალითად არ გამოდგება).

ზემოაღნიშნული მოვლენა ისტორიული სოციალური სტრუქტურის და, კიდევ უფრო მეტად, არსებული ეკონომიკური ვითარების ანარეკლია, ვიდრე რაიმე, განსაკუთრებული პატრიოტიზმისა. ქართველებს საკმაოდ დიდი ხნის

განმავლობაში არ ჰქონდათ საბაზი ფართო გარე მიგრაციისათვის, ამიტომაც მე-20 საუკუნის უმეტესი პერიოდი თავის სამშობლოში იყვნენ თავმოყრილნი და ამას უდავოდ მოჰყვა პოზიტიური შედეგები, მათ შორის ეროვნული კონსოლიდაციის თვალსაზრისით. მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო.

მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ქართველების სოციალური სტრუქტურა უპირატესად განისაზღვრებოდა მათი ეკონომიკური დამოკიდებულებით მიწისადმი: უმრავლესობა გლეხი იყო, უმცირესობა - მემამულე. რუსეთის იმპერიის 1897 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით ეთნიკურ ქართველთა შორის გლეხებს განეკუთვნებოდა 87.3% (10 პროცენტული პუნქტით მეტი, ვიდრე მთელს იმპერიაში), ხოლო მემკვიდრეობით თავადზნაურობას, უპირატესად მემამულეებს - 5.3% (ეს მაჩვენებელი 5-ჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე იმპერიაში) [Первая всеобщая, 1905, LVI]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბატონყმობის გადავარდნამდე გლეხობა პროპორციულად მეტიც იქნებოდა. ორივე ეს სოციალური ჯგუფი (თავადზნაურობა და გლეხობა) იმდენად იყო მიჯაჭვული მიწას, რომ მათი მიგრაციული განწყობა იმ პერიოდში მინიმალური უნდა ყოფილიყო.

მაგრამ რეფორმის შემდგომ წლებში და, განსაკუთრებით, ამიერკავკასიის გადამკვეთი რკინიგზის (ბაქო-თბილისი-ბათუმი და ფოთი) გაყვანის შემდეგ, ქართული მოსახლეობის მიგრაციული აქტიურობა მკვეთრად გაიზარდა. გარდა თბილისისა, რომელმაც მიიზიდა უმიწაწყლო სოფლელი მიგრანტები იმპერიის ქართული გუბერნიებიდან, ცნობილია ქართველთა დიდი ჯგუფების ჩასახლება იმპერიის სხვა ქალაქებში (მაგალითად, ბაქოში) და სასოფლო ადგილებში (მაგალითად, პლასტუნკა, შავი ზღვის გუბერნიაში). საკმაოდ ინტენსიური ხასიათი მიიღო გადასახლებამ მცირემიწიანი რაჭიდან და ხევიდან ჩრდილო კავკასიაში. ამას უნდა დავუმატოთ აჭარის მუსლიმანი ქართველი მოსახლეობის პოლიტიკური მიზნებით განპირობებული ემიგრაცია ოსმალეთის იმპერიაში 1878 წელს (იმავე პერიოდში ოსმალეთში გადასახლდა ეთნიკურ აფხაზთა თითქმის ნახევარი, ანუ 25-30 ათასი კაცი). ეს ადასტურებს იმას, რომ ქართველების გარე მიგრაცია ემორჩილება ზოგად კანონზომიერებებს.

2. გარე მიგრაცია საქართველოში მეორე მსოფლიო ომამდე

მე-19 საუკუნის განმავლობაში საქართველოში ჩამოსახლდა ათეულ ათასობით არაქართველი რუსეთის შიგა გუბერნიებიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, რამაც მკვეთრად შეცვალა საქართველოს ეთნიკური რუკა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი უპირატესად იმპერიის ცენტრიდან მართვადი იყო. საქართველოში (ანუ იმპერიის ქართულ გუბერნიებში და ოკრუგებში) სავსებით შეგნებულად იქმნებოდა გადამღვარი რუსი ჯარისკაცე-

ბის, რუსი რელიგიური მწვალებლების (ღუბობორების, მოლოკნების, სტარო-ვერების), გერმანელი, ესტონელი, ბერძენი კოლონისტების კომპაქტური დასახლებები; ხელს უწყობდნენ ჯავახეთსა და შავზღვისპირეთში სომხების გადმოსახლებას ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიიდან, შიდა ქართლში ოსების ჩამოსახლებას ჩრდილოეთ კავკასიიდან. ასეთი იმიგრაციული ნაკადები უპირატესად შეეხო თბილისის გუბერნიას, მოგვიანებით - სოხუმის ოკრუგს (აფხაზეთს), სადაც ეთნიკური სიჭრელე ძალიან მკაფიო გახდა. ქუთაისის მჭიდროდ დასახლებულ და იმ პერიოდში ეკოლოგიურად არახელსაყრელ (მაღარია - დაბლობ რაიონებში) გუბერნიაში ევროპული რუსეთიდან მასობრივი ჩამოსახლება არ მომხდარა. ადმინისტრაციული ფუნქციის მქონე ქალაქებში სახლდებოდნენ რუსი (ან იმპერიის სამსახურში მყოფი უცხოელი) ჩინოვნიკები ოჯახის წევრებითურთ. ამ პოლიტიკის საბოლოო მიზანი, რასაკვირველია, იმპერიასთან ახალშემოერთებული ტერიტორიების შემომტკიცება იყო, რაშიც ეთნიკური სიჭრელის ფაქტორსაც გარკვეული როლი უნდა ეთამაშა.

მაგრამ იმპერიამ თავისი 117-წლიანი ბატონობის პერიოდში ვერ მიაღწია ქართული მოსახლეობის ასიმილაციას: უმაღლესი არისტოკრატიაც კი, რომელიც რუსულ ენაზე ზრდიდა შვილებს და გვარის დაბოლოებასაც კი რუსულ ყაიდაზე იცვლიდა, იმ შემთხვევაში თუ საქართველოში რჩებოდა, მაინც ინარჩუნებდა ქართველობის ძირითად ნიშნებს.

თუმცა საქართველოში არსებობდა ერთგვარი (უფრო გაუცნობიერებელი) წინააღმდეგობა უცხო ეთნოსების წარმომადგენელთა იმიგრაციისადმი, მაგრამ გარეგნული გამოხატულება რაიმე ქსენოფობიაში ამას არასოდეს უპოვია.

პირველი მსოფლიო ომისა და დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის წლებში (1918-1921) გარე იმიგრაციას უარყოფითი საღლო ჰქონდა; 1914-1920 წლებში საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 200 ათასი კაცით შემცირდა [ჯაოშვილი, 1996, 101]. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი უმეტესობა ემიგრაციაში წავიდა (კლების ნაწილი მომატებული სიკვდილიანობის ხარჯზე მოხდებოდა: ამ პერიოდში იყო, მაგალითად, სპეციფიკური გრიპის - "ისპანკის" პანდემია, რომელმაც მთელ მსოფლიოში 20 მილიონამდე ადამიანი იმსხვერპლა). ემიგრაცია შეეხო უპირატესად არაქართული მოსახლეობის შეძლებულ და მაღალი სტატუსის მქონე ფენებს, რომლებიც ძირითადად ევროპაში წავიდნენ; ემიგრაციამ მოიცვა სამხედრო პირები - რუსეთის არმიის არაქართველი ოფიცრები და ჯარისკაცები; თბილისელი სომეხი ინტელიგენციისა და ბურჟუაზიის ნაწილმა ახალშემქნილ სომხეთის რესპუბლიკას მიაშურა. საერთო ჯამში ყველა ეს იმიგრაციული პროცესი უფრო პოლიტიკური ფაქტორებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული: ადამიანები, ვინც ადრე იმპერიის სამსახურში იყვნენ, შიმობდნენ, რომ ვერ იპოვიდნენ თავის ადგილს ახალ პოლიტიკურ სივრცეში, მითუმეტეს თუ ახალ სახელმწიფო ენას არ ფლობდნენ.

თუმცა, ალბათ, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მათი ემიგრაციისათვის ეკონომიკური ფაქტორიც: იმ პერიოდის საქართველო, ისევე, როგორც მთელი ყოფილი რუსეთის იმპერია, ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა.

ამავე დროს, 1915-16 წლებში საქართველოში ოსმალეთიდან მოვიდა და საბოლოოდ აქ (ძირითადად - თბილისში და შავი ზღვის სანაპიროზე) დამკვიდრდა სომხების დიდი რაოდენობა (რამდენიმე ათეული ათასი კაცი) და 4-5 ათასი იეზიდი-ჭურთი აღმოსავლეთ ანატოლიიდან: ორივე ეს ეთნიკური ჯგუფი ოსმალეთში იმ დროს მჭინვარე ეთნორელიგიურ წმენდას გამოექცა (იეზიდ ჭურთებს, როგორც "წარმართებს", სუნიტი-მუსლიმი ჭურთების უმრავლესობა სდევნიდა).

რაც შეეხება ქართული მოსახლეობის თეორიულად შესაძლო ემიგრაციას, ამ პერიოდში მას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან მეზობელ ქვეყნებში (მაგ. რუსეთში, ოსმალეთში) კიდევ უფრო უარესი არასტაბილურობა და ომიანობა იყო: მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მაინც სამშობლოში დარჩენას ამჯობინებდა სამოქალაქო ომით მოცულ რუსეთში "სამოვარზე" წასვლას. პირიქით, მოხდა ადრე წასული ქართული მოსახლეობის ნაწილობრივი რეპატრიაცია. ასე, მაგალითად, დაბრუნდა რუსეთის უნივერსიტეტების ქართველი პროფესორა, რომელთაც თბილისში უნივერსიტეტი დააარსეს (1918 წ.).

უშუალოდ გასაბჭოების შემდგომ მცირე მასშტაბი ჰქონდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას (რამდენიმე ათასი კაცი). ამის შემდეგ საზღვარი არსებითად ჩაიკეტა (30-იან წლებამდე ერთგვარი ტრანსპარენტულობა ჰქონდა თურქეთის რესპუბლიკასთან) და საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ მდებარე ტერიტორიებთან მიგრაციული გაცვლა შეწყდა 1980-იანი წლების ბოლომდე (გამონაკლისია ებრაელების ემიგრაცია 1970-იანი წლებიდან). 1920-იანი წლების ბოლომდე საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციული აქტიურობა (საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან მიგრაციული ურთიერთობის თვალსაზრისითაც) შედარებით მცირე იყო და უფრო მეზობელ რესპუბლიკებთან ხორციელდებოდა, მაგალითად, სომხეთთან.

მაგრამ უკვე 1920-იანი წლების ბოლოს ფართოდ გამოიღმა ინდუსტრიულმა მშენებლობამ საქართველოში მრავალი მიგრანტი მოიზიდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან. ამას დაერთო კოლექტივიზაციისა და "განკულაკების" კამპანიის საშინელი წლები (1930-33), რომელმაც სამხრეთ რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთში რამდენიმე მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ამ პერიოდში საქართველომ შეიფარა ასეულობით ათასი შიმშილს გამოქცეული ადამიანი, უპირატესად რუსები და უკრაინელები, რომელთა რაოდენობა 1926 წლის მოსახლეობის აღწერიდან 1939 წლის აღწერამდე გაიზარდა 110.5 ათასიდან 354.0 ათასამდე, ანუ 320%-ით. იმიგრაციის წყალობით სომხების რაოდენობამ ამავე 13-წლიან პერიოდში 307-დან 414 ათასამდე მოიმატა, ანუ 35%-ით (შედარებისათვის: ქართველთა რაოდენობა

21.6%-ით გაიზარდა) [სრულიად საკავშირო მოსახლეობის აღწერა, 1929; საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა, 1991]. ვ. ჯაოშვილის გამოთვლებით 1926-1939 წლების აღწერათაშორის პერიოდში საქართველოში მოსულთა რიცხვი აღემატებოდა წასულთა რიცხვს 191.5 ათასით, ანუ საშუალო წლიური გარე მიგრაციის დადებითი სალდო შეადგენდა თითქმის 16 ათასს [ჯაოშვილი, 1996, 135]. მოსულ მოსახლეობაში ჭარბობდნენ გუშინდელი გლეხები, რომლებიც უპირატესად ქალაქებში სახლდებოდნენ და სამრეწველო მუშების ფიზიკურ შრომას ასრულებდნენ. ახალი იმიგრანტების როლი საქართველოს კულტურულ და სამეცნიერო-ტექნიკურ აღმავლობაში შედარებით უმნიშვნელო იყო (მათი ეს როლი უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შუა აზიის რესპუბლიკებში).

დადებითი გარემიგრაციული სალდოს გამო ეთნიკურად ქართული მოსახლეობის ხვედრითი წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში იმავე აღწერათაშორის პერიოდში შემცირდა 67.6%-დან 61.4%-მდე. გარდა ამისა, იმავე წლებში დაიწყო ქართველი მოსახლეობის, უპირატესად უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების, გასვლა რუსეთის ფედერაციის და უკრაინის სამრეწველო ქალაქებში: 1939 წელს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ აღირიცხა ორჯერ მეტი ქართველი, ვიდრე 1926 წელს, როდესაც მათი რაოდენობა 33 ათასს უდრიდა. ტოტალიტარული რეჟიმის მიერ 1937-38 წლებში მოწყობილი მასობრივი რეპრესიების (მათ შორის გადასახლებებისა), რომლებიც პრაქტიკულად ყველა საბჭოთა ერს შეეხო, იძულებითი მიგრაციების კონტექსტში განხილვა ჭირს (ინფორმაციის სიმციროს გამოც).

მეორე მსოფლიო ომის დროს ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი გაწვევისა (რის შედეგადაც, ერთ-ერთი ყველაზე სანდო შეფასებით, საქართველოდან გაწვეული 210-220 ათასი მამრობითი სქესის ადამიანი დაიღუპა [ნათემლაძე, 1993, 46] და ევროპული საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებული ტერიტორიიდან საქართველოში მოსახლეობის ევაკუაციის შედეგად (რაც პოლიტიკურ იმიგრაციად შეიძლება განვიხილოთ) არაქართული მოსახლეობის ხვედრითი წილი კიდევ უფრო უნდა გაზრდილიყო. მაგრამ ამ უკანასკნელის საგრძნობი ნაწილი ომის შემდეგ თავისი ძველი განსახლების ადგილებს დაუბრუნდა.

1941-44 წლებში საქართველოდან დეპორტირებულ იქნენ გერმანელები და მესხეთის მუსლიმები, ხოლო 1949 წელს - პონტოელი ბერძნების დიდი ნაწილი. ჯამში ამ დეპორტაციებმა (რაც არანებაყოფლობით პოლიტიკურ ემიგრაციად უნდა მივიჩნიოთ) 120 ათასზე მეტი ადამიანი მოიცვა. ექვგარეშეა, ამ არაპუმანურ აქციებს, რომლებიც ტოტალიტარულმა რეჟიმმა ჩაატარა (გადაწყვეტილება ყოველთვის კრემლის დონეზე მიიღებოდა), გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს. დეპორტირებულთა განსახლების ადგილებში იმავე რეჟიმმა მამინვე "გეგმაზომიერად" ჩაასახლა სხვა მოსახლეობა (იხ. ქვემოთ). ამი-

ტომაც, იმავე განსახლების ადგილებში თეორიულად შესაძლო რეპატრიაცია სულაც არ გულისხმობს "საყოველთაო სამართლიანობის" ავტომატურ აღდგენას: მას აუცილებლად მოჰყვება უამრავი გართულება და ახალი უსამართლობა, ამჟამად უკვე იმ ხალხის მიმართ, ვინც იქ უკვე მესამე თაობაა დაფუძნებული.

3. გარე მიგრაცია 1950-1980-იანი წლების საქართველოში

1950-იანი წლებიდან საქართველოში სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან იმიგრაცია შესუსტდა, ხოლო დაახლოებით 1957 წლიდან გარემიგრაციული დადებითი საღლო უარყოფითი საღლოთი შეიცვალა და მას შემდეგ ინარჩუნებს ასეთ ხასიათს. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო ემიგრაციის ქვეყნად იქცა.

ეს უარყოფითი მიგრაციული საღლო ერთი ხანობა ინარჩუნებდა სტაბილურ და საკმაოდ ზომიერ ხასიათს, რომელიც მოსახლეობის აბსოლუტურ კლებას არ იწვევდა, რადგან ბუნებრივი ნამატი ამ დანაკლისს აკომპენსირებდა. მაგრამ ბოლო წლებში (განსაკუთრებით 1990-დან) ემიგრაციის ნაკადმა გადაფარა იმიგრაციისა და ბუნებრივი ნამატის ჯამი და მოსახლეობის აბსოლუტურ კლებაზე იმოქმედა (ამაზე ქვემოთ იქნება ლაპარაკი).

1950-იანი წლებიდან ჩატარებული მოსახლეობის ოთხი საყოველთაო აღწერა (1959, 1970, 1979, 1989 წწ.) კარგ საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ მოსახლეობის გარემიგრაციულ აქტიურობას. სტატისტიკური ორგანოების მიერ მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის აღრიცხვის მონაცემებს ბოლომდე საიმედოდ ვერ მივიჩნევთ (თუმცა ბოლო პერიოდისათვის, ვიდრე ახალი აღწერა ჩატარდება, ასეთ მონაცემებს ალტერნატივა არცაა აქვს). საქმე ისაა, რომ უმეტეს შემთხვევაში მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვა საკმაოდ შემცირებულ მონაცემებს იძლეოდა, ვინაიდან წასვლასთან ერთად ამოწერის დაუყოვნებლივ ფიქსირებას ბევრი ერიდებოდა - საბჭოთა კავშირში ეს ფორმალური პროცედურა მეტისმეტად მნიშვნელოვანი იყო: მასზე იყო ასხმული ტერიტორიული სოციალური მომსახურებისა და შეღავათების მთელი სისტემა (უფასო სამედიცინო მომსახურება, განათლება, საშუალოზე მიღება და გაფორმება, და, რაც მთავარია, უფასო ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანა). ამიტომაც ფაქტობრივი მიგრანტები იქამდე არ აფორმებდნენ თავიანთ რეალურ დასახლებას სხვა ადგილზე (ე. ი. არ ამოეწერებოდნენ მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან), ვიდრე არ დარწმუნდებოდნენ, რომ ახალ ადგილზე უკეთესი საშუაო და საცხოვრებელი პირობები ექნებოდათ. რასაკვირველია, საბჭოთა წესებით ეს დაუშვებელი იყო (ამას ეწოდებოდა "საპასპორტო რეჟიმის დარღვევა"), მაგრამ მას მაინც ფართო მასშტაბი ჰქონდა. გარდა ამისა, დიდ საბჭოთა ქალაქებში, მათ შორის თბილისში, ჩაწერა მკვეთრად იყო შეზღუ-

დული, რადგან არსებობდა დიდი ქალაქების ზრდის შენელებზე მიმართული ოფიციალური პოლიტიკა. ამიტომაც რეალური ("არალეგალური") მიგრანტების საგრძნობი ნაწილი სურვილის შემთხვევაშიც კანონიერი გზით ვერ აფორმებდა თავისი საცხოვრებელი ადგილის ფაქტობრივ შეცვლას.

ზემოაღნიშნულის გამო, ვ. ჯაომვილი [1996, 238-239] სწორი იყო, როდესაც მოსახლეობის საყოველთაო აღწერათა მასალები გამოიყენა გარემიგრაციული სალდოს დასადგენად. თუმცა მანვე აღნიშნა, რომ ეს მეთოდი "ვერ გვიჩვენებს ცალ-ცალკე წასულთა და მოსულთა რაოდენობას, მაგრამ სრულ წარმოდგენას გვიქმნის მათ რაოდენობრივ სხვაობაზე". აღწერათაშორის პერიოდში დაბადებულთა და გარდაცვლილთა სხვაობის დადგენისა და მოსახლეობის აღწერილი რაოდენობის შედარების გზით ვ. ჯაომვილმა გამოთვალა, რომ 1959-1969 წწ. მოსახლეობის გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო შეადგენდა 81.3 ათასს, ანუ საშუალო წლიურად 7.4 ათასით მეტი გადიოდა, ვიდრე შემოდოდა. 1970-1978 წლების შესაბამისი მაჩვენებლები იყო 137.4 და 15.3 ათასი; ხოლო 1979-1988 წლებისა - 59.0 და 5.9 ათასი (1978 და 1988 წლები მითითებულია იმის გამო, რომ მოსახლეობის აღწერები ყოველთვის მომდევნო წლის იანვარში ტარდებოდა და მათი მონაცემები ფაქტობრივად წინა წლის მდგომარეობას ასახავდა).

ყურადღება უნდა მივაქციოთ ასეთ ფაქტს: 1930-იან წლებში და 1970-იან წლებში გარე მიგრაციების საშუალოწლიური სალდოს აბსოლუტური გამოხატულება თანაბარი იყო - 16 ათასის ირგვლივ - და, ამავე დროს, დამეტრალურად საწინააღმდეგო ხასიათისა: 1930-იანი წლების დადებითი სალდო 1970-იან წლებში უარყოფითით შეიცვალა. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ რავენსტაინის "შეოთხე კანონი": "თითოეული მიგრაციული ნაკადი წარმოქმნის კომპენსაციურ საწინააღმდეგო ნაკადს". თუ 1930-იან წლებში საქართველოში ძირითადად არაქართველი მოსახლეობა შემოდოდა, 1970-იან წლებში მისივე გასვლა ხდებოდა. მიზეზები სხვადასხვა იყო, მაგრამ ყველა - სოციალურ-ეკონომიკური.

1970-იან წლებში უარყოფითი მიგრაციული სალდოს მკვეთრი გაზრდა ნაწილობრივ განაპირობა ებრაელი მოსახლეობის ემიგრაციის ინტენსიფიკაციამ, რასაც იმდროინდელი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ ზღუდავდა (განსხვავებით საერთო-საკავშირო ხელისუფლებისაგან). მაგრამ უარყოფითი სალდოს ზრდის ძირითადი მიზეზები მაინც იყო შემდეგი:

ა. საერთო ეკონომიკური განვითარების ტემპებში ჩამორჩენა, უპირველესად კი ახალი სამრეწველო მშენებლობის შენელება (საზოგადოებრივი ზხრი, რომელიც საკმაოდ კონსერვატიული იყო, ქვეცნობიერად ეწინააღმდეგებოდა ინდუსტრიალიზაციას, როგორც "ტრადიციული" სასოფლო ცხოვრების დამანგრეველს და უცხო ეთნიკური ელემენტის მომზიდველ ფაქტორს - ამ უკანასკნელის გამოცდილება საზოგადოებას ნამდვილად ჰქონდა). ამიტომ

მუშახელის იმიგრაციას აზრი ეკარგებოდა, შეფარდებით ჭარბი მუშახელი კი საქართველოდან გადიოდა;

ბ. "ჩრდილოვან ეკონომიკასთან" რესპუბლიკის იმდროინდელი ხელმძღვანელობის მეტისმეტად აქტიური დაპირისპირება, რის გამოც ბევრმა ალლოიანმა საქმოსანმა თავისი საქმე გადაიტანა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში;

გ. არაქართული წარმოშობის ახალგაზრდობის გასაგები სურვილი — უმაღლესი განათლება მიეღოთ მშობლიურ (სომხურ, აზერბაიჯანულ) ან რუსულ ენებზე, რაც ობიექტური მიზეზებით უფრო ადვილი იყო მეზობელ რესპუბლიკებში, ვიდრე საქართველოში. აზერბაიჯანელი, სომეხი თუ ოსი სოფელი ახალგაზრდისათვის ბაქოს, ერევნის, ორჯონიკიძის (ამჟამად - ვლადიკავკაზი), კიროვადისა (განჯა) და ლენინაკანის (გომრი) უმაღლეს სასწავლებელში გატარებული ხუთი ან მეტი წლის შემდეგ მშობლიურ სოფელში დაბრუნება ფსიქოლოგიური ტრავმის ტოლფასი იყო. იგივე შეიძლება ითქვას სლავური წარმოშობის, უპირატესად ქალაქელ, ახალგაზრდებზე, რომლებიც რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მისწრაფოდნენ. მათი უკან დაბრუნებაც სათუო იყო, რადგან გაძევებული იყო შეზღუდული რაოდენობის სამუშაო ადგილებისათვის მათი კონკურენცია ადგილობრივ კადრებთან; საერთოდაც, რაოდენობრივად სწრაფად მზარდ ადგილობრივი უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის შეზღუდული სამუშაო ასპარეზი არსებობდა.

1970-80-იან წლებში მკვეთრად გაიზარდა ქართველი ახალგაზრდობის სწრაფვა რუსეთისა და, ნაკლებად, უკრაინის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებში, ყველაზე მეტად სამედიცინო, შემდეგ - სამართალმცოდნეობების სპეციალობებზე. ეს სპეციალობები საქართველოს სსრ მხოლოდ თითო-თითო უმაღლეს სასწავლებელში იყო წარმოდგენილი (თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში), ისიც რაოდენობრივად საკმაოდ შეზღუდულად (სიმართლე უნდა ითქვას, ეს რაოდენობრივი შეზღუდვა გარკვეულწილად ასახავდა შესაბამისი პროფილის კადრებზე მოთხოვნილებას და ამდენად თითქოს რაციონალურიც იყო, მაგრამ მძაფრი კონკურენცია ამ პრესტიჟულ, და საბოლოოდ - სარფიან - სპეციალობებზე უამრავ გადახრას იწვევდა კორუფციის სხვადასხვა ფორმის სახით). უმაღლესი განათლების მისაღებად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასვლის ტენდენციით გამოირჩეოდა აფხაზეთის, სამეგრელოს, იმდროინდელი სამხრეთ ოსეთის, ქქ. რუსთავის, ქუთაისის, თბილისის ქართველი ახალგაზრდობა. ამის არაპირდაპირი მაჩვენებელი იყო აქაური რუსული სკოლების ეთნიკურად ქართველი მოსწავლეების პროპორცია: 1987 წელს მთელი საქართველოს საშუალო სკოლის ყველა ეთნიკურად ქართველი მოსწავლიდან რუსულ ენაზე სწავლობდა 6.7% (დანარჩენი - ქართულად), აფხაზეთში - 22.9%, ქქ. ქუთაისში, ზუგდიდსა და ფოთში, სენაკის რაიონში - 10-15%, რუსთავსა და სამხრეთ ოსეთში - 15%-ზე მეტიც კი [თოთაძე, 1993, 192].

რესპუბლიკის გარეთ მომზადებული ეთნიკურად ქართველი კადრების საგრძნობი ნაწილი (თუმცა ნაკლები პროპორციით, ვიდრე არაქართველებს შორის) საქართველოს ფარგლებს გარეთვე მკვიდრდებოდა და ეს შრომითი ემიგრაციის ფორმად, უფრო ზუსტად, პოტენციურ "ტვინის გაღინებად", შეიძლება მივიჩნიოთ.

საერთო ჯამში, იზრდებოდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში მცხოვრები ქართველების აბსოლუტური რაოდენობა: თუ 1959 წელს საქართველოს ფარგლებს გარეთ აღირიცხა 91 ათასი ეთნიკური ქართველი, 1989 წლის დამდეგს - 193.7 ათასი, ანუ ზრდამ შეადგინა 112.8%. საკუთრივ საქართველოში კი ქართველთა რაოდენობა იმავე პერიოდში სულ 44.9%-ით გაიზარდა. ნათელია, რომ სხვაგან აღრიცხული ეთნიკური ქართველები გარე ემიგრაციის შედეგად აღმოჩნდნენ იქ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბევრი შერეული ოჯახის შვილი ("ნახევრად-ქართველი") შესაძლოა არც აღირიცხა სხვა რესპუბლიკაში, განსაკუთრებით, რუსეთის ფედერაციაში, როგორც ქართველი. ამის უმთავრესი მიზეზია ბუნებრივი ასიმილაცია მსგავს ცივილიზაციურ სივრცეში: ქართველებისა და აღმოსავლეთ სლავების უმრავლესობა მართლმადიდებლურ კულტურულ წრეს განეკუთვნება, რაც, მოუხედავად რელიგიის როლის ერთგვარი დაკნინებისა, მაინც უფრო მეტი შეთავსებადობის ატმოსფეროს ქმნიდა და ქმნის, ვიდრე, ვთქვათ, შუააზიელი ან აზერბაიჯანელი მუსლიმური კულტურული წრის მიგრანტებისათვის იმავე რუსეთში (ცივილიზაციების დაპირისპირებისა და შეთავსებადობის თაობაზე (იხ. Huntington, 1996).

ვ. ჯაოშვილისგან განსხვავებით, მ. ტუხაშვილი [1996] გარემიგრაციული ნაკადების რაოდენობრივი გავზომვისათვის იყენებს ჩაწერა-ამოწერის შესახებ ოფიციალურ ინფორმაციას (როგორც ზემოთ აღინიშნა, ხანდახან ეს მეთოდიც მისაღებია). მის მიერ დადგენილი გარემიგრაციული სალდო 1959-69 და 1970-78 წლებისათვის საგრძნობლად ნაკლებია ვ. ჯაოშვილის გამოთვლებზე, ხოლო 1979-1988 წლებისათვის - მეტი (მ. ტუხაშვილის მიხედვით მთლიანი სალდო ამ სამი პერიოდისათვის შესაბამისად შეადგენდა 58 ათასს, 52.6 ათასს და 71.2 ათასს).

მაგრამ ყურადსაღებია, რომ ამ მეთოდით დადგენილი გარემიგრაციული სალდოც უარყოფითია, ანუ ასახავს იმ მდგრად ტენდენციას, რომ მეტი ადამიანი ამოეწერებოდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ წასვლის მიზნით, ვიდრე ჩაეწერებოდა საქართველოში.

4. მოსახლეობის შიდა მიგრაცია მე-20 საუკუნის საქართველოში

1860-იან წლებში ბატონყმობის გადავარდნამ საქართველოს სოფლის მოსახლეობას სამუალემა მისცა თავისუფლად აერჩია საცხოვრებელი ადგილი. XIX საუკუნის ბოლო მესამედის სარკინიგზო მშენებლობამ, თბილისის ეკო-

ნომიკური როლის ზრდამ ხელი შეუწყო მიგრაციულ აქტიურობას (აქ უნდა გავიხსენოთ რავენსტაინის "მეცხრე კანონი": "მიგრაციების სიდიდე მატულობს, როდესაც ვითარდება მრეწველობა და კომერცია და უმჯობესდება ტრანსპორტი"). გარდა თბილისისა, მკვეთრად გაიზარდა ეთნიკური ქართველი მოსახლეობის მიგრაცია მცირემიწიანი დასავლეთ საქართველოს პროვინციებიდან შიდა ქართლში, აფხაზეთში, აგრეთვე კახეთში.

უპირატესად სოფლიდან ქალაქში მიგრაციის წყალობით (ნაწილობრივ - რუსეთიდან იმიგრაციის შედეგადაც) პირველი მსოფლიო ომის წინ საქართველოს ქალაქებში ცხოვრობდა მოსახლეობის 25.6% ანუ 666 ათასი ადამიანი. პირველი მსოფლიო ომისა და შემდგომი პერიოდის ეკონომიკური კრიზისის გამო ყველაზე მეტად დაზარალდა საქართველოს ქალაქის მოსახლეობა, რომელიც საგრძნობლად შემცირდა: მათი მეტი წილი ემიგრაციაში წავიდა, ნაწილი - სოფელს დაუბრუნდა. მხოლოდ 20-ანი წლების ბოლოს აღდგა ქალაქის მოსახლეობის ომისწინანდელი რაოდენობა.

მიუხედავად იმისა, რომ ომთაშორის პერიოდში საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა სოფლიდან ქალაქში მიგრაცია (1939 წელს საქართველოს ქალაქის მოსახლეობამ 1066 ათასი, ანუ 30% შეადგინა), შიდა მიგრაციები არ წარმოადგენდა ფართომასშტაბიან სოციალურ მოვლენას. სოფელი ინარჩუნებდა კონსერვატიულ ხასიათს; ცხოვრების წესით და დონით, დემოგრაფიული ქცევით ის მაინც მკვეთრად განსხვავდებოდა ქალაქისაგან, განსაკუთრებით თბილისისა და სხვა, შედარებით დიდი, ქალაქებისგან (ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი). რაიონული ცენტრების უმრავლესობა კი სოფლისაგან მცირედ განსხვავდებოდა.

1940-იან წლებში მოსახლეობის შიდა მიგრაციები, განსაკუთრებით სოფლიდან სოფელში, პოლიტიკურად იყო ორგანიზებული და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით უპირატესად იძულებით ხასიათს ატარებდა. ხდებოდა ე.წ. "ჩასახლებები" დეპორტირებული გერმანელი კოლონისტების, მესხეთის მუსლიმების, პონტოელი ბერძნების ძველ სოფლებში, ძირითადად დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი სოფლებიდან აყრილი მოსახლეობის ხარჯზე. ე. ჯაოშვილის მიერ დადგენილ იქნა, რომ ქვემო ქართლისა და თრიალეთის 12 სოფელში ჩაასახლეს 2390 კომლი, მესხეთში - 5550 კომლი, ხოლო აფხაზეთში - 4200-ზე მეტი კომლი, სულ 60 ათასზე მეტი კაცი [ჯაოშვილი, 1996, 223-225]. იგი თვლის, რომ "ჩასახლებულთა კეთილდღეობისა და საერთო ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნული ჩასახლებანი დადებით შეფასებას იმსახურებენ" [იქვე, 226], თუმცა ამ პროცესს თან მოჰყვა ზოგი მთიანი ტერიტორიის გაუკაცრიელება.

ეკოლოგიური ფაქტორებით განპირობებული მიგრაციის მაგალითი მოგვცა 1987-1988 წლებმა, როდესაც თოვლის ზვავებმა სვანეთში და მეწყერებმა მთიან აჭარაში უსახლკაროდ და უმიწაწყოლად დატოვა ათასობით კომლი

და ხელისუფლებამ სცადა ორგანიზებულად ჩაესახლებინა ისინი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში - ძირითადად ზღვისპირა აჭარაში, ქართლში, გურიაში, იმერეთში, ჯავახეთსა და კახეთში, რისთვისაც ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხა გამოიყო. 1990 წლისათვის ახალმოსახლეთათვის ამენდა იქნა საცხოვრებელი სახლების მხოლოდ ნაწილი, ისიც უხარისხოდ. შემდგომი პერიოდის ეკონომიკურმა გართულებებმა სახელმწიფოს არ მისცა საშუალება დაემთავრებინა მშენებლობა და კეთილმოწყობის სამუშაოები. შეფასებით, საერთო ჯამში, ამ ჩასახლებებმა მოიცვა 19 ათასამდე ადამიანი. ზოგ ადგილას გართულდა მათი სოციალური ადაპტაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან, მაგალითად, ქვემო ქართლში დამნაშავეობის ზრდას 1990-იანი წლების პირველ პერიოდში, უკავშირებდნენ მთიელების ჩამოსახლებას მათთვის უჩვეულო ბუნებრივ და სოციალურ-კულტურულ გარემოში.

ვინაიდან საქართველო ძირითადად მთიანი ქვეყანაა, აქ დიდი მნიშვნელობა აქვს მთისა და ბარის ურთიერთობას. მოსახლეობის თანამედროვე მიგრაციებში აღსანიშნავია მთიდან ბარში ჩამოსახლების პროცესი (შუა საუკუნეებში ფართო მასშტაბის უკუპროცესსაც ჰქონდა ადგილი), განსაკუთრებით მოკლე მანძილებზე (აქ უპრიანია გავიხსენოთ რავენსტაინის "პირველი კანონი": "მიგრანტების უმრავლესობა მოკლე მანძილზე გადაადგილდება"). მართლაც, ვ.ჯაომვილის თქმით, "მაღალმთიანი ზონიდან, სადაც ცხოვრების პირობები ექსტრემალურს უახლოვდება, მოსახლეობა თანდათან გადადის საშუალო და დაბალმთიან ზონაში, ისეთ ადგილებში, რომლებიც თავისი მდებარეობით და ბუნებრივი პირობებით შესაძლებლობას ქმნის მთელი წლის მანძილზე დამყარდეს კავშირი ბარის რაიონებთან. ხშირად ასეთი ჩასახლებანი ხდება საკომუნიკაციო მაგისტრალების გასწვრივ" [ჯაომვილი, 1996, 229]. სწორედ ასეთი მიგრაციის შედეგია "კახეთის სასოფლო აგლომერაციის შექმნა" - თითქმის ასკილომეტრიანი სასოფლო განსახლების უწყვეტი ზოლის ავტომაგისტრალის გასწვრივ - ბევრი სოფელი ადრე უფრო მაღლა იყო განლაგებული, მაგრამ ნელ-ნელა დაბლა "ჩამოცოცდა".

ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა საქართველოში მიგრაციის ტიპი "სოფელი-ქალაქი", ანუ ის, რაზეც რავენსტაინის "მეათე კანონი" მიუთითებს: "მიგრაციის ძირითადი მიმართულებაა სასოფლო-სამეურნეო რეგიონებიდან სამრეწველო და კომერციულ ცენტრებში გადაადგილება". მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის 60%-მდე ქალაქებში გადადიოდა საცხოვრებლად. დიდი ქალაქების უმეტესობა, მათ შორის თბილისი და 1944 წელს დაარსებული ახალი ქალაქი რუსთავი, ნახევარზე მეტად სოფლიდან მოსული მოსახლეობის ხარჯზე იზრდებოდა. და, თუმცა რავენსტაინის "მეორე კანონი" - "დიდი ქალაქები უფრო მეტად იზრდება მიგრაციის შედეგად, ვიდრე ბუნებრივი მატების შედეგად" - ამ შემთხვევაში ნამდვილად ესადაგება საქართველოს სინამდვილეს, როგორც

ჩანს, არც თუ ძალიან შორეულ მომავალში ამ "კანონს" დაასაბუთებს არა იმდენად სოფლის მოსახლეობის მიგრაცია (ვინაიდან საქართველოს სოფელს თანდათან ეცლება მიგრაციული პოტენციალი), არამედ მიგრაცია მცირე და საშუალო ქალაქებიდან. საერთოდაც აღინიშნებოდა მიგრაციის სტადიური ხასიათი: სოფელი მიგრანტები ჯერ ახლომდებარე პატარა ან საშუალო ქალაქში მკვიდრდებოდნენ, ხოლო შემდეგ მათი ოჯახის ახალგაზრდა წევრები დიდი ქალაქის გზას არჩევდნენ. რავენსტაინიც აღნიშნავდა თავის "მეორე კანონში": "მიგრაცია ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ (თანდათანობით)".

დიდი ქალაქის მცხოვრებნი, ყოფილი სოფლელები, უკვე ნაკლებად ცდილობდნენ სხვა ქალაქში გადასვლას. ამდენად რავენსტაინის "მესამე კანონი" - "ქალაქის მცხოვრებნი უფრო ნაკლებად მონაწილეობენ მიგრაციაში, ვიდრე სოფლის მცხოვრებნი" - ესადაგება ჩვენს მდგომარეობას მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, თუმცა თვით აშშ-ში ეს „კანონი“ ამჟამად ანაქრონიზმად იქცა, ვინაიდან სასოფლო მოსახლეობა იქ თითქმის აღარ დარჩა და სწორედ ამერიკის ქალაქების მოსახლეობა იცვლის პერიოდულად საცხოვრებელ ადგილს.

5. მიგრაციის ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური შედეგი საქართველოში: ურბანიზაცია, დემოპულაცია, ეროვნული კონსოლიდაცია

საქართველოში ურბანიზაციის პროცესმა გამოიწვია ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილის 56%-მდე გაზრდა (1989 წლის აღწერის მიხედვით). ამასთან ეს მაჩვენებელი 10 პროცენტული პუნქტით ჩამორჩებოდა საბჭოთა კავშირის მაჩვენებელს და ნაკლები იყო, ვიდრე მეზობელ რესპუბლიკებში. საქართველოს სოფლის მოსახლეობის ერთგვარი არამობილურობა გამოწვეული იყო ადგილობრივი სოფლის მეურნეობის შედარებით უფრო მაღალი რენტაბელურობით საბჭოთა კავშირის ფონზე: არაეფექტიანი საკოლმეურნეო წარმოების გამო და საბჭოთა კავშირში გამორჩეული აგროკლიმატური პირობების წყალობით შედარებით მომცრო საკარმიდამო ნაკვეთი იძლეოდა იმდენი სასაქონლო პროდუქციის შექმნის საშუალებას, რომ საქართველოს სოფელში საერთო ჯამში ქალაქზე ნაკლები ცხოვრების დონე არ იყო [Gachechiladze, 1988]. ამიტომაც, საპირისპიროდ ზოგიერთი პუბლიცისტისა და პოეტის აღარმისტული განწყობისა, საქართველოს სოფლის მოსახლეობა ძალიან სწრაფად არ კლებულობდა, ყოველ შემთხვევაში, სხვა ქვეყნებთან შედარებით.

რასაკვირველია, მიგრაცია იწვევდა ზოგიერთი მთიანი რაიონის მოსახლეობის მკვეთრ სქესობრივ-ასაკობრივ დისბალანსს (მიდიოდნენ კაცები, ახალგაზრდები; რჩებოდნენ მოხუცები, ქალები) და ამას მოჰყვებოდა დემოპულაცია (ეს ხდებოდა რაჭა-ლეჩხუმში, ხევში, ფშავ-ხევსურეთში, იმდროინდელ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში; პრაქტიკულად დაიცალა მთა-თუშეთი). უკვე ჩანდა მოსალოდნელი დემოპულაციის ნიშნები ბარის სასოფლო რაიონ-

ნებშიც (იმერეთი, გურია). მორალური პოზიციიდან ეს პროცესი სრულიადაც არ იმსახურებს მოწონებას. მაგრამ რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში ეს ლოგიკური პროცესი იყო. ფაქტობრივად, სასოფლო რაიონების დეპოპულაცია გახდა გარდაუვალი ხარკი იმ სოციალური კეთილდღეობისათვის, რომელიც მიღწეული იქნა საბჭოთა პერიოდში (ეს კეთილდღეობა მიღწეული იქნებოდა ნებისმიერ სხვა შემთხვევაშიც, კომუნისტური პარტიის გარეშეც: დასავლეთის მოწინავე ქვეყნები კიდევ უფრო მაღალი სოციალური კეთილდღეობის მაგალითს იძლევიან). უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება საყოველთაო აუცილებელ საშუალო განათლებას და უფასო უმაღლესი განათლების მიღების შანსს, რაც ახალგაზრდა ადამიანს ცხოვრების უფრო ფართო ასპარეზზე გასვლის შესაძლებლობას აძლევს. ეს შესაძლებლობა, სხვათაშორის, კარგად გამოიყენეს სწორედ იმ ალარმისტულად განწყობილმა პუბლიცისტებმა და პოეტებმა, რომლებმაც სოფელი სხვებზე ადრე დატოვეს, თბილისში დასახლდნენ, ახლა კი მოუწოდებდნენ თავიანთ ახალგაზრდა თანასოფლელებს, სოფლად დარჩენილიყვნენ.

დეპოპულაციის თავიდან აცილების ერთ-ერთი "საშუალებაა" დაბრუნება პატრიარქალურ აგრარულ საზოგადოებასთან - სკოლების, ელექტროენერჯის, ავტოტრანსპორტის, ტელევიზიის გარეშე. ასეთი "სოციალური ექსპერიმენტი" საქართველომ ბოლო წლებში განიცადა კიდევ. მაგრამ სასოფლო რაიონების დეპოპულაციას ის მაინც ვერ შეაჩერებს

სასოფლო რაიონების დეპოპულაციის შეჩერების უფრო რეალური საშუალებაა მათი ეკონომიკური, უპირატესად - არასასოფლო-სამეურნეო (მაგალითად, მრეწველობის შრომატევადი დარგების, ტურიზმის) განვითარება. ასეთი პროცესი, ბუნებრივია, დიდ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს და ახალი მოსახლეობის (შესაძლოა, სულ სხვა ეთნოსების წარმომადგენლებისაც) მოსვლას მოასწავებდეს. ეს კი საბოლოოდ ისე შეცვლის სოციალურ-კულტურულ ვითარებას ამჟამინდელ დეპოპულაციის რეგიონებში, რომ აუცილებლად გაანადგურებს სწორედ იმ სასოფლო ცხოვრების წესს, რომელსაც ალარმისტები მისტირიან.

პრაქტიკულად ყველა ჩანმრთელ, საშუალო განათლებამიღებულ სოფლელ ახალგაზრდას უჩნდება ბუნებრივი სურვილი, წავიდეს ქალაქში, მითუმეტეს, რომ მძიმე (მეტადრე მთიან რეგიონებში) სასოფლო-სამეურნეო შრომა არ იძლევა და ვერც მისცემს საკმარის ანაზღაურებას, ხოლო სასოფლო ცხოვრების წესი - ვერ იძლევა განათლებული ახალგაზრდის გაზრდილი კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას. სოფლის შექცეული ოჯახის შვილები უფრო ადვილად მიგრირებდნენ - მათთვის უკეთ მუშაობდა როგორც სოფლის "განმზიდავი ფაქტორი" (push factor), ისე ქალაქის "მიმზიდავი ფაქტორი" (pull factor). წასვლას ვერ ახერხებდნენ სოფლის შედა-

რებით ღარიბი ფენების წარმომადგენლები. სოფლიდან მიგრაციის ასეთი სელექციურობა ასუსტებდა სოფლის ინტელექტუალურ და ეკონომიკურ ბაზას.

შხედველობაშია მისაღები გეოგრაფიაც: დიდი ქალაქის აგლომერაციაში მცხოვრები სოფლელები უფრო ადვილად რჩებოდნენ სოფელში, რადგან ქანქარისებრი (ვ. ჯაოშვილი ხმარობს ტერმინს "მაქარისებრი") მიგრაციის წყალობით შეეძლოთ უკეთეს ეკოლოგიურ პირობებშიც ეცხოვრათ და ქალაქის ეკონომიკური შესაძლებლობებითაც ესარგებლათ (ქანქარისებრი მიგრაციების როლზე საქართველოს საქალაქო აგლომერაციების ჩამოყალიბებაში იხ. ვ. გუჯაბიძესთან [Гуджабидзе, 1983]). ამიტომაც, მაგალითად, თბილისის აგლომერაციაში მდებარე სოფლებს დებოპულაცია არ ემუქრებოდა. დიდი ქალაქებიდან დამორბეული, განსაკუთრებით კი მთიანი, სოფლები უკვე ნამდვილ პერიფერიას წარმოადგენდა და მათი განვითარება სათუო ხდებოდა.

საქართველოს სოფლის მცხოვრებნი სულ უფრო ფართოდ მიმართავდნენ ოჯახის დაგეგმვას, რადგან მრავალრიცხოვანი შვილების განათლება და დაბინავება საერთო ჯამში ეკონომიკურად ძნელი ხდებოდა. რამდენადაც საბჭოთა პერიოდში მიწა სახელმწიფო საკუთრება იყო და მისი არც გაყიდვა, არც კერძო პირის მიერ კონცენტრაცია დამკვეთი არ იყო, ტიპური სოფლის ოჯახის ოცნება შეიძლება ყოფილიყო სოფლად სახლისა და მცირე ნაკვეთის შენარჩუნება, ხოლო შვილების - ქალაქში (სასურველია, თავიდანვე, დიდ ქალაქში, ხოლო კიდევ უფრო სასურველი - თბილისში) "მოწყობა".

ამიტომაც თბილისი ყველაზე სწრაფად იზრდებოდა მიგრაციის ხარჯზე (1926 წელს აქ სახლობდა 291 ათასი ადამიანი, ანუ საქართველოს მოსახლეობის 11%, 1989 წელს კი შესაბამისად 1243 ათასი და 22.8%). თბილისი იძლეოდა კიდევ დასაქმების მრავალფეროვან სანუალებას და თვითონაც საჭიროებდა სულ ახალ-ახალ შრომით რესურსებს, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკური შრომისათვის დამუშავებით მრეწველობასა და მშენებლობაში, სადაც ადგილობრივი კადრები ჭირდა და სოფლიდან მოსული მუშახელი თუ დასაქმდებოდა. თავის ახალ მოსახლეობას თბილისი აძლევდა საცხოვრებელი ფართის მიღების თეორიულ (ზოგს კი - პრაქტიკულ) შესაძლებლობას: სწორედ ამის გამო იზრდებოდა მისი განაშენიანება მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების ხარჯზე, განსაკუთრებით 1950-იანი წლებიდან.

სოფლის მიგრანტის კულტურული ადაპტაცია დიდი ქალაქის ცხოვრების წესთან და რიტმთან მით უფრო ადრე ხორციელდება, რაც უფრო ახალგაზრდა მიდის იგი ქალაქში. ამ თვალსაზრისით თბილისი "სისხლიდან ცლიდა" სოფელს. მაგრამ, მეორე მხრივ, თბილისი ხელს უწყობდა სოფლის შეფარდებით ჭარბი მოსახლეობის დასაქმებას და არაპირდაპირ - ამზადებდა სოფელს საბაზრო ეკონომიკისათვის, რომლის დროსაც აგრარულ სექტორში დასაქმება მკვეთრად უნდა შემცირდეს, ხოლო მცირერიცხოვანი მუშახელის შრომის ნაყოფიერება გაიზარდოს.

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანებისა, რაც საქართველოს ურბანიზაციასა და, განსაკუთრებით, თბილისის ზრდას თან ახლდა, აღსანიშნავია ამ პროცესის დადებითი მხარეებიც. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია თბილისის უდიდესი როლი ერთიანი საქართველოსა და ქართველი ერის ფორმირებაში.

ის, რომ შუა საუკუნეებიდან მე-19 საუკუნის ჩათვლით (და ინერციით - მე-20 საუკუნის კარგა ხანსაც) ქართველებისათვის "ქალაქის" ცნება თბილისთან იყო გაიგივებული, უკვე თავისთავად მეტყველებს მის განსაკუთრებულობაზე. მეგრულად (და მისი მიბაძვით - აფხაზურადაც) თბილისს უწოდებენ "ქართ"-ს, ანუ აიგივებენ მას "ქართლთან", რომელიც, თავის მხრივ, "საქართველოს" ფუძეა. მაგრამ ამ სიმბოლიკის გარეშეც თბილისი ყველა კუთხის ქართველისათვის საერთო-ქართულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად აღიქმებოდა და არა რომელიმე პროვინციის ცენტრად. გეოგრაფიული თვალსაზრისითაც, თბილისი ქართლისა და კახეთის ისტორიულ საზღვარზეა განლაგებული. მისი ცენტრალური მდებარეობა ამიერკავკასიის ფონზე კიდევ უფრო თვალნათლივ ჩანს და ასეთი ცენტრის როლს ის 1936 წლამდე ასრულებდა კიდევ, სულ ცოტა ბოლო ორი-სამი საუკუნის მანძილზე, იმის მიუხედავად თუ ვინ იყო სიუზერენი - სპარსეთის შაჰი, რუსეთის იმპერატორი, თუ სკპ(ბ) გენერალური მდივანი!

ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე (1918 წ.) თბილისში იწყება ქართული ინტელექტუალური ელიტის კონცენტრაცია: უკვე ამ საუკუნის 10-იან წლებში ის ინტენსიურად იზიდავს, მაგალითად, ქუთაისის კულტურულ ელიტას. დასავლეთ საქართველოს პროვინციებიდან მიგრაციის წყალობით 1920-იანი წლების დამდეგისათვის მისი ქართული მოსახლეობის ნახევარზე მეტი წარმოშობით ლისსგადმელი იყო (გავიხსენოთ, რომ ნაძალადევი ძირითადად დასავლეთ საქართველოდან მოსულმა იმერელმა და რაჭველმა მიგრანტებმა დაასახლეს). დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქად მისი გამოცხადებისთანავე (1918 წ.) თბილისი ქართული პოლიტიკური ელიტის ცენტრადაც იქცა, ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვანწილად ისევ დასავლეთის პროვინციებიდან გამოვიდა, მაგრამ ეს ვითარება არასოდეს იწვევდა რაიმე დაპირისპირებას სუბეთნიკურ დონეზე, ვინაიდან თბილისის ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტა არა კუთხურ, არამედ ზოგად-ქართულ იდეალებს აყენებდა საქმის სათავეში (სხვათაშორის, ანეკდოტები კუთხურ თემატიკაზე ყველა ქვეყანაში და ყოველთვის მოსახლეობის დაბალი ფენების სუბკულტურას განეკუთვნება).

საბჭოთა პერიოდში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიგრაცია თბილისში კიდევ უფრო გაძლიერდა. საკმარისია ითქვას, რომ თუ 1926 წლის აღწერის მიხედვით თბილისში სახლობდა საქართველოს ყველა ეთნიკური ქართველის 6% (ეს 112 ათასს შეადგენდა), 1989 წელს აქ უკვე მათი 26%

სახლობდა (რაც 824 ათასზე მეტი იყო). 63 წლის მანძილზე თბილისის ქართველი მოსახლეობის გაშვიდმაგება ბუნებრივი მატების გზით თეორიულადაც კი გამორიცხულია. ამკარაა, რომ ეს ზრდა ქართველების შიდა მიგრაციის შედეგია.

ამჟამად თბილისი საქართველოს ნებისმიერ პროვინციას სჭარბობს მოსახლეობით, ხოლო "თბილისელი" ზეკუთხურ ტერმინად იქცა, რომელიც ყველა ქართული სუბეთნოსის წარმომადგენელს, და, ბევრ შემთხვევაში, არაქართველსაც შეიძლება მოიცავდეს. თბილისი ჭეშმარიტად ასრულებდა და ჯერაც ასრულებს ქართველი ერის "სადნობი ქვაბის" როლს.

სავსებით შეიძლება არსებობდეს კრიტიკული თვალსაზრისი მიგრაციის შედეგად თბილისის ზრდის წყალობით საქართველოს „ჰიპერტროფიული ურბანიზაციისა“ და მისი "თავკომბალა ქვეყნად" გადაქცევის შესახებ, მაგრამ ეს თვალსაზრისი ერთადერთი არ უნდა იყოს. ურბანიზაციის პროცესი საქართველოში და მოსახლეობის მიგრაცია თბილისში ძირითადად პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს.

6 ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია 1990-იან წლებში.

1. მიგრაციის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფონი თანამედროვე საქართველოში და ინფორმაციის წყაროების მდგომარეობა

1987-1988 წლებიდან ამკარად გამოიკვეთა საბჭოთა კავშირში არსებული ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი. "გარდაქმნის" პოლიტიკამ თვითონ კი არ წარმოქმნა ეს კრიზისი, არამედ გაამიწვლა ხრწნის ის პროცესები, რომლებიც ისედაც მიმდინარეობდნენ საბჭოთა საზოგადოებაში. მრავალეროვან სახელმწიფოს მთლიანობას უნარჩუნებდა არა სხვადასხვა ერის საერთო ინტერესები, არამედ ტოტალური შიში. ამ უკანასკნელის გაქრობას კი დაუსჯელობის სინდრომი მოჰყვა და ეთნოტერიტორიული კონფლიქტები უაღრესად გამძაფრდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შესაძლებლობა ნათელი გახდა მაშინვე, როდესაც სისხლიანმა კონფლიქტმა მთიანი ყარაბაღის გამო ორ მოკავშირე რესპუბლიკას შორის წარმოქმნა მოსახლეობის ძალდატანებითი მიგრაციების, ფაქტობრივად კი - ეთნიკური წმენდის, ფენომენი, რომელსაც ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვერაფერი (ან არაფერი) დაუპირისპირა. ეთნიკური და ეთნოტერიტორიული კონფლიქტების შედეგი იყო პოლიტიკური მიზეზებით განპირობებული მიგრაციები, რამაც თავის მხრივ კიდევ უფრო გაამწვავა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი ჯერ საბჭოთა კავშირში და მისი დაშლის შემდგომ კი, ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში.

პოსტ-საბჭოეთის მთელ ტერიტორიაზე აგორდა გარე მიგრაციების ტალღა, რომელიც საერთო ჯამში შეიძლება შეფასდეს როგორც *პოლიტიკური ტერიტორიების მონათესავეობის პროცესი*. არსებითად ამ პროცესმა დასრულება პოვა მხოლოდ სომხეთში, რომლის მოსახლეობაც ჯერ კიდევ ამ საუკუნის პირველ მეოთხედში მესამედზე მეტად არასომხური იყო, ხოლო მე-20 საუკუნის ბოლოს - 97%-ით სომხურია: სომხეთის ახლადშექმნილ ეთნოდემოგრაფიულ სიტუაციაზე მსჯელობისას ზოგიერთ ავტორს საშუალება ეძლევა ასეთი სათაურიც კი წაუშმძღვაროს თავის სტატისს - "პრობლემები აღარაა" [Arakelian-Kharatian & Ossipov, 1996]. სხვა ქვეყნებში და ტერიტორიებ-

ზე მონოეთნიზაციის პროცესის ცდები (რომლის მაგალითებია ქართველების ეთნიკური წმენდა აფხაზეთში, ჩრდილო ოსეთიდან ინგუშების განდევნა) ამერიიდან ალბათ ვეღარც დასრულდება, რადგან ასეთი აქციის რადიკალურად ჩატარება შეიძლებოდა მხოლოდ დიდი სახელმწიფოების რღვევის პერიოდში, როდესაც საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება სხვა რთულ პროცესებზე იყო მიპყრობილი.

სამწუხაროა, რომ საქართველოში 1990-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ლამისაა, ქრესტომათიულად აქციეს დასავლეთის რიგ პუბლიკაციაში (იხ. მაგ. [Beissinger, 1996, 158]). დღემდე მიმდინარე მსჯელობა საქართველოს პირველი არასაბჭოთა ხელმძღვანელობის განსაკუთრებულ როლზე ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებაში, რომელიც აჩქარებდა მოსახლეობის ემიგრაციას, აიხსნება იმით, რომ ეს ხელმძღვანელობა თავისი რიტორიკის ტირაჟირებით მართლაც ქმნიდა "სამიშროების სინდრომს". პოლიტიკური მოტივით ეთნიკური ჯგუფების ემიგრაცია სხვა ქვეყნებიდან (მაგალითად, რიგი შუააზიური რესპუბლიკიდან, საიდანაც მასობრივად გადიოდა რუსული და რუსულენოვანი მოსახლეობა; ეთნიკური წმენდა სომხეთსა და აზერბაიჯანში) საქართველოზე ბევრად უფრო რადიკალურ დემოგრაფიულ შედეგს იძლეოდა, მაგრამ ის ნაკლებ შესაძინევი დარჩა, რადგან მათი ხელმძღვანელობა ნაკლებ ენაწყლიანი იყო. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში 1996 წლის 1 იანვრისათვის ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსით რეგისტრირებული იყო 974428 ადამიანი, რომელთაგან 119105 ანუ 12.2% იყო საქართველოდან (და ამ მაჩვენებლის სიდიდეზე ამკარად ზემოქმედებდა აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველების სიმრავლეც) [Демографический ..., 1996]. ლტოლვილების რაოდენობით საქართველოს უსწრებდნენ ტაჯიკეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, საკუთრივ რუსეთიც კი, ხოლო ორი წლით ადრე - აზერბაიჯანიც.

მაგრამ ფაქტია ისიც, რომ საქართველოში მიმდინარე მიგრაციულმა პროცესებმა 1990-იანი წლების მიჯნაზე გარდატეხა განიცადა. მკვეთრად შეიცვალა გარემიგრაციული საღღღ, მიგრაციების ინტენსივობა, განსაკუთრებით გაიზარდა ემიგრაცია და ნაწილობრივ შეიცვალა მისი მიმართულება, კერძოდ დაიწყო (ან ზოგიერთი ქვეყნის მიმართულებით - საგრძნობლად გაიზარდა) გასვლა ყოფილი საბჭოთა კავშირის მიღღღ. შეიცვალა მიგრანტთა სტრუქტურაც. უპირველეს ყოვლისა, ეს მოჰყვა გარე მიგრაციას, თუმცა შიღღ, განსაკუთრებით, პოლიტიკური მიზეზებით გამოწვეულმა მიგრაციამ (დევნილების სახით) არა ნაკლებ მძიმე დღღღ დაასვა თანამედროვე საქართველოს სოციაღღღ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებს. საერთო ჯამში, გაღღღერებულ მიგრაციას შედეგად საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური და სოციაღღღღ-დემოგრაფიული სტრუქტურის გარკვეული შეცვლა მოჰყვა. მაგალითად, შემცირდა ცალკეული ეთნიკური ჯგუ-

ფების (უპირველესად სლავების, ოსების) აბსოლუტური და შეფარდებითი რაოდენობა და პირიქით, შეფარდებით მოიმატა ქართველების, აზერბაიჯანელების ხვედრითმა წილმა. ფერტილური ასაკის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილის საზღვარგარეთ შრომით მიგრაციაში მონაწილეობამ იმოქმედა შობადობის შემცირებაზე. აფხაზეთიდან დევნილი სასოფლო მოსახლეობა მისთვისაც მოულოდნელად დიდი მასის სახით აღმოჩნდა ქალაქებში, სადაც სოციალური ადაპტაცია გაუჭირდა, რომ არაფერი ვთქვათ მის ეკონომიკურ გაჭირვებაზე.

მოუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამკარად არსებობს მიგრაციის შედეგების ემპირიული შეგროვება, მიგრანტთა ნაკადების ზუსტი რაოდენობრივი გაზომვა პრაქტიკულად ძალიან ძნელია, ვინაიდან სტატისტიკური ინფორმაცია იკრიბებოდა ზედაპირულად და წყაროები ზმირად არასრული და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უზუსტობანი რაიმე წინასწარგანზრახული თვალისახვევის შედეგი კი არაა (ლოგიკა მცდარ ინფორმაციაში არ ჩანს), არამედ საერთო ეკონომიკური სიღუჭჭირისა, როდესაც ჭირს სოციალური სტატისტიკის სპეციალისტების შენარჩუნება და მათი შრომის სრულფასოვანი ანაზღაურება.

გაუარესდა ისედაც არასრულყოფილი აღრიცხვიანობა: ჩაწერის ინსტიტუტმა (რომელმაც 1990-იან წლებში არსებითად დაკარგა ძველი მნიშვნელობა) ინერციით იარსება 1997 წლის დამდეგამდე, როდესაც ის შეცვალა რეგისტრაციის ახალმა, უფრო დემოკრატიულმა (რეგისტრაციის ბარათში, სხვათაშორის, აღარ მიეთითება ეროვნება), მაგრამ გაღატაკებული მოსახლეობისათვის ძვირადღირებულმა სისტემამ. ამჟამად ქვეყნის შიგნით საცხოვრებელი ადგილის შემცვლელი საქართველოს მოქალაქისათვის, ანუ შიდა მიგრანტისათვის, არ არსებობს ახალ საცხოვრებელ ადგილზე რეგისტრაციისა და პირადობის მოწმობის აღების (რაც გარკვეულ ხარჯთან არის დაკავშირებული) რაიმე სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური მოტივაცია (თუ ის არ გეგმავს საზღვარგარეთ წასვლას): მას აღარც უფასო ბინის აღრიცხვაზე აიყვანენ, აღარც პურის ან რაიმე "ჰუმანიტარული დახმარების" მიძღვრება სიაში ჩაწერენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საბარათო სისტემა აღარ არსებობს. ხოლო ძალდატანების ფაქტორი, რომელიც "ჩაწერის რეჟიმს" ახლდა თან, საბედნიეროდ საერთოდ გაქრა.

პიროვნული თავისუფლების თვალსაზრისით რეგისტრაციის ახალი ფორმა და მისი ჩატარების მეთოდები უდავოდ დემოკრატიზაციის გზაზე წინგადადგმული ნაბიჯია. ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ არასრული რეგისტრაციის პრაქტიკა შიდა მიგრაციისათვის თვალის გადავინებას გაართულებს. დსთ-ს ქვეყნებში უვიზოდ გამგზავრების უფლება კი მკვეთრად ამცირებს ინფორმაციას გარე მიგრაციის შესახებ.

ასეთ პირობებში დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ არსებულ მონა-

ცემებს და შეძლებისდაგვარად შეეგვსოთ ის სხვა წყაროებიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წყაროების ხასიათი გარე და შიდა მიგრაციების ცალ-ცალკე გაანალიზების საშუალებას ყოველთვის არ იძლევა: ზოგ შემთხვევაში საჭირო ხდება ორივე ტიპის ერთდროული განხილვა.

2. საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის დინამიკა 1990-იან წლებში

საუკუნის ბოლო დეკადაში გარე მიგრაციული აქტიურობის დასადგენად 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების შედარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მომავალი, 1999 წლის, აღწერის შედეგებთან. ამ მონაცემების გამოკვეყნებას უკეთეს შემთხვევაში უნდა ველოდოთ იმავე 1999 წლის მეორე ნახევარში ან, უფრო სავარაუდოა, 2000 წელს. იქამდე კი იძულებული ვართ ვისარგებლოთ მიმდინარე სტატისტიკით, რომელიც ჩაწერა-ამოწერის საფუძველზე იკრიბებოდა, ხოლო 1997 წლიდან რეგისტრაციის საფუძველზე შეიკრიბება.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით გარე მიგრაციის მაჩვენებლები ასეთი იყო (ცხრილი 1):

ც ხ რ ი ლ ი 1

საქართველოში შემოსული და გასული მოსახლეობის რიცხოვნობა ათასებში (1990-1996)

÷ ā ūā	ōñç Ÿāŵŵ	Ūŵāŵŵ	āāŵŵōāāā ēā ŵç (+ -)
1990	20.0	59.0	-39.0
1991	16.6	60.6	-44.0
1992	8.0	49.6	-41.6
1993	12.6	42.9	-30.3
1994	12.7	44.2	-31.5
1995	5.7	25.9	-20.2
1996	1.2	12.9	-11.7
ūŵā	76.8	295.1	-218.3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი*

როგორც ცხრილიდან ჩანს, წამსვლელთა ნაკადი ყველაზე დიდი იყო 1990-1991 წლებში. მიზეზი იყო მკვეთრი გარდატეხა პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელსაც პრაქტიკულად მართავდა პოლიტიკაში ახალმოსული, გამოუცდელი ელიტა და რომელიც თვითდამკვიდრებას ცდილობდა ყველაზე იოლი გზით - პატრიოტული ლოზუნგებით. მაგრამ მის ზოგიერთ გავლენიან წარმომადგე-

ნელს ეს ისე გამოუვიდა, რომ პატრიოტიზმი აღვირახსნილ ნაციონალიზმად წარმოიჩინდა. დღევანდელი გადასახედიდან იმდროინდელი ხელმძღვანელობის რიტორიკა ადვილი ასახსნელია და არც თუ ძალიან სწავიმი ჩანს. მაგრამ იმ პერიოდში ხელისუფალთა ცალკეული გამონათქვამები არამკვიდრი მოსახლეობის მიმართ, რომელიც მასობრივ ცნობიერებაზე ახდენდა ზეგავლენას, ტოლერანტულობის მკვეთრი შემცირების საფრთხეს ქმნიდა. გაურკვეველი მოლოდინი უზიძგებდა იმ ეთნიკური ჯგუფების მოსახლეობას, რომელიც აქ მკვიდრად ვერ გრძნობდა თავს, გარიდებოდა შექმნილ სიტუაციას და ემიგრაცია ერჩია, თუმცა ის, რასაც "ეთნიკურ კონფლიქტს" უწოდებენ, მაგალითად, რუსებთან, სომხებთან, ჰერბაიჯანელებთან, ებრაელებთან, ბერძნებთან და მრავალ სხვასთან დაკავშირებით საქართველოში ნამდვილად არ მომხდარა. პირდაპირი ჩაგვრა მათ არ უგრძნიათ და ამას თვითონაც აღიარებენ (იხ. ქვემოთ).

ემიგრაციული განწყობები და ქცევა უპირველესად დამახასიათებელი გახდა სლავური მოსახლეობისათვის, რომელიც უპირატესად საბჭოთა პერიოდში ჩამოსახლდა საქართველოში, აგრეთვე ოსებისათვის, ვინაიდან პოლიტიკური კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში მკვეთრად გამწვავდა 1990 წლის ბოლოდან, ხოლო 1991 წელს მან ომის სახე მიიღო (ქვემოთ განხილული იქნება მიგრაციის ეთნიკური სტრუქტურა, მათ შორის თბილისის მაგალითზე).

მომდევნო წლებში ემიგრაციული ნაკადი ჯერ სტაბილურობას ინარჩუნებს, ხოლო ბოლო წლებში (განსაკუთრებით 1995 წლიდან) თანდათანობით კლებას იწყებს. ასეთია ემიგრაციის ზოგადი დინამიკა და ანალოგიურია მისი შემადგენელი ნაწილის - "შორეულ საზღვარგარეთში" წასულთა - მაჩვენებლებიც. სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 1990-1992 წლებში ის ასეთი იყო: 1990 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის გარეთ წავიდა 4980 კაცი, 1991 წელს - 3876, 1992 წელს - 2920. შემდგომი პერიოდის მონაცემები ზ. დავითაშვილმა შეკრიბა ვიზებისა და მოსახლეობის რეგისტრაციის სამმართველოში, რომლის მიხედვითაც 1993 წელს საქართველოდან „შორეულ საზღვარგარეთში“ ემიგრაციაში წავიდა 5049 კაცი, 1994 წელს - 4676, 1995 წელს - 3885 და 1996 წელს - 2527 [Davitashvili, 1997, 5]. ჯამში 1990-1996 წლებში "შორეულ საზღვარგარეთში" წასულთა სულ 27913 კაცი და ამ ემიგრანტთა ძირითადი მიმართულებები იყო საბერძნეთი, ისრაელი, გერმანია და აშშ.

მიგრაციული აქტივობის კლების ტენდენცია შეიძლება აიხსნას ფაქტორთა სამი ჯგუფით, რომელთაგან ორი შიდაა, ხოლო ერთი - გარე. ესენია:

- 1995 წლიდან ქვეყანაში ამკარად გამოკვეთილი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესი

შექმნილი ვითარება ეკონომიკური კონიუნქტურის ერთგვარ გაუმჯობე-

სებას მოასწავებს და კრიმინალურ ფონსაც ასუსტებს: ამის გამო, როგორც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ისე ემიგრაციულად განწყობილ ქართველებს (მათ შორის უპირველესად - ბიზნესმენთა საგრძნობ ნაწილს) საქართველოში დარჩენის სტიმული შეიძლება შეექმნათ;

- *ემიგრანტთა პოტენციური ბაზის ბუნებრივი შემცირება საქართველოში*

გასულ წლებში გავიდა თითქმის ყველა (მათ შორის, ქართული და შერეული) ოჯახი, რომელსაც ეს უნდოდა და შეეძლო, ანუ გაესვლებოდა ეკონომიკური შეძლებულობისა და პროფესიული მომზადებულობის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ მთელი ოჯახით ემიგრაცია (და არა გაქცევა!), საკმაოდ რთული და ძვირადღირებული საქმეა (მიღების ადგილზე დაფუძნება, საცხოვრებლისა და სათანადოდ ანაზღაურებული სამუშაოს შოვნა ყველასთვის ადვილი როდია) და ღირებულება მხოლოდ მაშინ გადაწყვეტენ ემიგრაციას, თუ მდგომარეობა სრულებით გამოუვალა, მაგალითად, პოლიტიკური თვალსაზრისით. ემიგრაციის პოლიტიკური ფაქტორი კი საქართველოში უკვე აღარ მოქმედებს.

ამასთანავე მცირდება პოტენციურ ეთნიკურ ემიგრანტთა ბაზაც. მაგალითად, ბერძნებისა და ებრაელების რიცხოვნობა, საბერძნეთსა და ისრაელში მათი ემიგრაციის კვალდაკვალ, ყოველწლიურად მცირდება და მომავალში მათი მიგრაციული ნაკადები აუცილებლად დაიკლებს.

- *პოტენციური ემიგრაციის ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება*

ეკონომიკური შესაძლებლობა "ნაღების მოხდისა", ანუ სწრაფად გამდიდრებისა, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციაში ემიგრირებულთათვის, ამჟამად მკვეთრად შემცირდა. კრიმინალური ფონი, მაგალითად, იმავე რუსეთში მომუშავე ქართველი ბიზნესმენებისათვის, ახლა შეიძლება უარესიც კი იყოს, ვიდრე საქართველოშია. გარდა ამისა, იქმნება არაოფიციალური შეზღუდვები, ხშირად საზოგადოებრივი აზრის დონეზე, ქართული ემიგრაციისათვის რუსეთის ფედერაციაში (ხელოვნურად შექმნილი დამამცირებელი ტერმინი "კავკასიური ეროვნების პირი" ქართველებსაც მოიცავს). იქმნება სავსებით ოფიციალური შეზღუდვები დსთ-ს ყველა ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდან, ემიგრაციისათვის დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში.

რაც შეეხება ოჯახის ცალკეული წევრების უპირატესად შრომითი ხასიათის ემიგრაციას, რაც საკმაოდ ფართოდ გავრცელებული მოვლენაა თანამედროვე საქართველოში, უმეტეს შემთხვევაში ის ამოწერის (რეგისტრაციიდან მოხსნის) გარეშე ხდება და ვერც პოულობს ასახვას ოფიციალურ სტატისტიკაში.

1990-1991 წლებში საკმაოდ დიდი ჩანს ემიგრაცია: ეს იყო უპირატესად ქართული წარმომობის პირთა რეპატრიაციის პროცესი (იხ. ქვემოთ "გარე მიგრაციის გეოგრაფია"). უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ არაკეთილმოსურ-

ნე დამოკიდებულება იგრძნეს სხვა რესპუბლიკებში, სადაც ადრე გადასახლდნენ. 1992-93 წლებში აფხაზეთში მიმდინარე სამოქალაქო ომთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან დამოკიდებულებაში მკვეთრი ცვლილება იწვენიეს ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებმა ქართველებმა და ნაწილმა პოლიტიკური მოტივით საქართველოში გადმოსახლება ამჯობინა. ეკონომიკური მოტივაცია იმ პერიოდის საქართველოში დაბრუნებისათვის ნაკლებ ძლიერი უნდა ყოფილიყო: "მიმზიდავ ფაქტორზე" მეტად მაიზე უნდა ემოქმედა ემიგრაციის ქვეყნებში წარმოშობილ "განმზიდავ ფაქტორს".

შემდგომ წლებში საქართველოში იმიგრაცია რაოდენობრივად მცირდებოდა. საკვებით დასაშვებია, რომ რეპატრანტთა ნაწილი ხელახალ ემიგრაციაში წავიდა, ამჯერად უკვე – სამუდამოდ.

3. გარემიგრაციული სალდოს დადგენის ცდა

საქართველოს გარემიგრაციული სალდოს ოდენობა საყოველთაო ინტერესს იწვევს. არსებობს მოსაზრება "ჩვენი ქვეყნიდან მილიონზე მეტი მცხოვრების ემიგრაციის" შესახებ. ქვემოთ შევეცდები დავასაბუთო მოსაზრება გარემიგრაციის რაოდენობრივი მაჩვენებლის შესახებ და დავამტკიცო, რომ "1 მილიონი ემიგრანტი" დიდი გადაჭარბებაა.

ის, რომ ცხრილ 1-ში მოტანილი მონაცემები არასრულია, საკვებით ნათელია, ვინაიდან არ მოიცავს, ან მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავს:

- ა) 1990 წლის შემდგომ ინფორმაციას ემიგრაციის შესახებ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (რომელიც იმავე წლის ბოლოს გაუქმდა) უმეტესი ნაწილიდან (ახალგორის რაიონისა და ცალკეული ქართული სოფლების გარდა). ამ რეგიონიდან ოსური მოსახლეობის ერთი ნაწილი წავიდა რუსეთში (ძირითადად ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკაში). შეფასებით მათი რაოდენობა ემიგრაციის პიკის პერიოდშიც არ შეიძლება აღემატებოდეს 20-30 ათასს, ვინაიდან 1989 წელს სამხრეთ ოსეთში სულ 65 ათასი ოსი ცხოვრობდა: მთელი ეთნიკური ჯგუფის ნახევარზე მეტი ემიგრაციაში არ წასულა (ამას ადასტურებს იქ ჩატარებული არჩევნების სტატისტიკა). მომდევნო პერიოდში ბევრი წასულთაგანი უკან დაბრუნდა კიდევ. ასე, რომ რეგიონიდან ემიგრირებული იქნება სულ 10 ათასამდე ოსური წარმოშობის ადამიანი, მათ შორის ბევრია ისეთი, ვინც იძულებული გახდა წასულიყო 1991 წლის დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ (ეკოლოგიური მიზეზით). სხვა ოსი ემიგრანტები ან ლტოლვილები რუსეთის ფედერაციაში ის ხალხია, ვინც ცხინვალის რეგიონში წარმოშობილი კონფლიქტის არაპირდაპირი მსხვერპლი გახდა: ისინი იძულებული გახდნენ წასულიყვნენ საქართველოს სხვა ქალაქებიდან და რაიონ-

ბიდან (პოლიტიკური მიზნით) და ოფიციალურ აღრიცხვაში ძირითადად (თუმცა მთლიანად არა) მოხდნენ კიდევც.

ქალაქ ცხინვალიდან და რეგიონის ქართული სოფლებიდან წამოსული ეთნიკური ქართველი მოსახლეობა (იძულებით ადგილნაცვალი პირები, დევნილები) ამჟამად საქართველოს სხვა რეგიონებში (შიდა ქართლი, თბილისი) ცხოვრობს და მათ გარე მიგრაციის კონტექსტში ვერ განვიხილავთ.

- ბ) ინფორმაციას 1992 წლიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან ემიგრაციის შესახებ (ამ წლიდან ინფორმაცია აფხაზეთის მოსახლეობის მიგრაციის შესახებ თითქმის ვერ აღრიცხეს საქართველოს სტატისტიკურმა ორგანოებმა, ხოლო მომდევნო წლიდან ის საერთოდ არ აღრიცხულა). როგორც ცნობილია, 1993 წლის სექტემბერში აფხაზეთის თითქმის მთელი ტერიტორია (კოდორის ხეობის ზემო ნაწილის გარდა) ხელთ იგდეს სეპარტისტებმა. ამავე დროს, ამ რეგიონიდან ეთნიკური ნიშნით ემიგრაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ დიდი იყო. კერძოდ:

- ◆ ემიგრაციაში წავიდა ეთნიკურად აფხაზური მოსახლეობის ნაწილი (განსაკუთრებით, შერეულ ქორწინებაში მყოფნი და ის ოჯახები, ვინც ვაჟიშვილები გაარიდა ძმათამკვლელ ომს), რომლებიც უპირატესად რუსეთის დიდ ქალაქებში დასახლდნენ. 1989 წელს აღრიცხული 93 ათასი აფხაზიდან აფხაზებისვე მონაცემებით 3.5 ათასი საბრძოლო მოქმედებებს ემსხვერპლა [რეზონანსი, 16.08.97], ხოლო 3-5 ათასი პრაქტიკულად პოლიტიკურ ემიგრაციაში წავიდა და არ (ან ვერ) ბრუნდება უკან. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივი მატებისა და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან აფხაზეთში შემოსული მე-19 საუკუნის აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლების გათვალისწინებით (ამ უკანასკნელთა რაოდენობას 1997 წელს აფასებენ, როგორც 2.5 ათასს: ინფორმაცია მიღებულია აფხაზეთში ჩასული უცხოელი სპეციალისტებისაგან), ამჟამად აფხაზეთის მოსახლეობაში ეთნიკური აფხაზები არ უნდა შეადგენდნენ 90 ათასზე მეტს. ადვილი შესაძლებელია, რომ მათი რაოდენობა ბევრად ნაკლებიც კი იყოს, ვინაიდან ეკონომიკური გაჭირვების გამო აფხაზეთიდან ხდებოდა და ხდება ეთნიკურად აფხაზი შრომისუნარიანი ასაკის ადამიანების დროებითი (ამოწერის გარეშე) შრომითი ემიგრაცია, უპირატესად რუსეთში. ფელიქს კორლი [Corley, 1997] 1996 წლისათვის ეთნიკურ აფხაზებს ამ რეგიონის მთელი მოსახლეობის 65%-ად მიიჩნევს. ასეთ შემთხვევაში, თუ იქ მცხოვრებ აფხაზთა რაოდენობას პირობითად 90 ათასად განვსაზღვრავთ (ეს პრაქტიკულად მაქსიმალური დაშვებაა), გამოვა, რომ

აფხაზეთში სულ დაახლოებით 150 ათასი მცხოვრები უნდა იყოს დარჩენილი (1989 წლის 525 ათასთან შედარებით). უფრო სავარაუდოა, რომ აფხაზეთის პროცენტი "65-ზე" ნაკლები უნდა იყოს. თუმცა, მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, კორლის არაპირდაპირი შეფასება (აფხაზეთში დარჩენილი 150 ათასი მცხოვრების შესახებ) მართლაც ახლოს იდგეს რეალობასთან: აფხაზეთის ტერიტორიის პრაქტიკულ გაუკაცრიელებას აღნიშნავს მრავალი თვითმხილველი. ეს კი ნიშნავს ავტონომიური რესპუბლიკიდან 350 ათასამდე ადამიანის წასვლას (როგორც დანარჩენ საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ; აქ გათვალისწინებულია, რომ სავარაუდოდ 20 ათასამდე სხვადასხვა ეროვნების ადამიანი აფხაზეთიდან ემსხვერპლა საომარ მოქმედებებს და თანამდეგ მოვლენებს);

- ◆ თითქმის მთლიანად გადასახლდა, შესაბამისად - საბერძნეთსა და ისრაელში, აფხაზეთის ბერძნული და ებრაული თემები, რომელთა რიცხოვნობა 1989 წელს შეადგენდა შესაბამისად 14.7 და 1.7 ათასს (აქ და ქვევითაც 1989 წლის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ინფორმაციის წყაროა – საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, 1991, 10). ჯამში ამ ორი ეთნოსის წასული მოსახლეობის რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც 14-15 ათასი.
- ◆ დიდი იყო რუსეთსა და უკრაინაში სლავური მოსახლეობის ემიგრაცია; ფელიქს კორლის შეფასების თანახმად 1996 წელს სლავები აფხაზეთის მოსახლეობის 10%-ს შეადგენდნენ: ასეთ შემთხვევაში 1989 წელს იქ მოსახლე 88.6 ათასი რუსი, უკრაინელი და ბელორუსიდან 15-25 ათასი უნდა დარჩენილიყო, უპირატესად მოხუცები [Челноков, 1994], ხოლო 60-70 ათასი უნდა წასულიყო. ვინაიდან მათი ნაწილი, ძირითადად შერეული ოჯახების წევრები, დანარჩენ საქართველოში წამოვიდა და ამიტომ ყველა მათგანს ემიგრანტად ვერ მივიჩნევთ, აფხაზეთიდან საქართველოს ფარგლებს გარეთ გასულად 50 ათასამდე სლავი შეიძლება ვიგულოთ;
- ◆ საგრძნობი ნაწილი ეთნიკური სომხური მოსახლეობისა ასევე გავიდა (უპირატესად რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარისა და როსტოვის ოლქის ქალაქებში, სადაც მათი ნათესავები და ეთნიკური თანამოძმეები, კარგა ხანია, არიან დაფუძნებული). ფ.კორლის შეფასებით 1996 წელს სომხებიც აფხაზეთის მოსახლეობის 10%-ს შეადგენდნენ და გამოდის, რომ 73 ათასი ეთნიკური სომხიდან უნდა დარჩენილიყო 15-25 ათასი, ხოლო 45-55 ათასი ემიგრაციაში წასულა. სინამდვილეში, კორლის შეფასება რამდენადმე ამცირებს აფხაზეთში

დარჩენილი სომხების რაოდენობას, წასულად კი, ალბათ, უნდა მივიჩნიოთ 30 ათასამდე სომეხი;

- ◆ განდევნილი ქართული მოსახლეობის ნაწილი ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა, ძირითადად რუსეთის ფედერაციაში. ფ. კორლის შეფასებით გამოდის, რომ აფხაზეთში 15-25 ათასი ეთნიკური ქართველია დარჩენილი (უპირატესად შერეული ოჯახის წევრები და მოხუცები; აგრეთვე კოდორის (დალის) ხეობის მოსახლეობა, სადაც სულ 3.5 ათასი კაცი სახლობს). აქ ამკარად არ იგულისხმება გალის რაიონის 12-კილომეტრიანი ზონა მდ. ენგურის გასწვრივ, სადაც შეფასებით 1996-97 წლებში 40-50 ათასამდე ქართველი მოსახლე დაბრუნდა (მაგრამ ისინი იქ უფრო სეზონურად შედიან - სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად - და მუდმივ მზადყოფნაში არიან, საფრთხის შემთხვევაში დატოვონ საცხოვრებელი ადგილი). საქართველოს ფარგლებს გარეთ აფხაზეთის ქართველობა 30-40 ათასამდე შეიძლება ვივარაუდოთ.
 - ◆ საერთო ჯამში მხოლოდ აფხაზეთიდან ძირითადად პოლიტიკური მიზეზით (ქართველები, აფხაზების ნაწილი) ან ძირითადად ეკონომიკური მიზეზით (სლავები, სომხები, სხვები), საქართველოს ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა, ანუ ემიგრაციაში წასული ჩანს 120-დან 140 ათასამდე ადამიანი, რომელთა საგრძნობი ნაწილი საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის მიერ ვერ იქნა აღნუსხული. როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის სტატისტიკა ლტოლვილად მიიჩნევს 119 ათას ადამიანს საქართველოდან (აფხაზეთის ჩათვლით), მაგრამ ყველა ლტოლვილი რუსეთში ხომ არ წავიდოდა? უფრო მეტი რაოდენობის ხალხი აფხაზეთიდან - სავარაუდოდ 230-250 ათასი - ამჟამად საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებშია დევნილების სახით.
- ც) ინფორმაციას საქართველოს სხვა რეგიონებიდან საზღვარგარეთ სამუშაოდ გასული მოსახლეობის შესახებ (მითუმეტეს ვერ დაითვლებოდა ის კრიმინალური ელემენტი, რომელიც ასევე საკმაოდ გავიდა საქართველოდან). ბევრი მათგანი გადის ტურისტული ვიზით და მერე იქ უკანონოდ რჩება სამუშაოდ: მაგალითად, ზოგიერთი ცნობით საქართველოდან საბერძნეთში ჩასულია 40 ათასამდე ადამიანი, ვინც იქ დაბალკვალიფიციურ სამუშაოს ასრულებს. მართალია, ამ ადამიანთა უმეტესობა შეიძლება არც განვიხილოთ მუდმივად გადასახლებულებად, ვინაიდან მათი მეტი ნაწილი პერიოდულად ჩამოდის სამშობლოში და ოჯახის აქ დარჩენილ წევრებს მატერიალურად ეხმარება, მაგრამ ეს მაინც მიგრაციის ფორმაა (თუნდაც - დროებითი), ხოლო იგი, "ჯერჯერობით ვერ პოულობს ასახვას სტატისტიკურ მონა-

ცემებში" [საქართველოს სოციალურ-..., 1997, 35]. ამავე დროს, არარეგისტრირებული შრომითი მიგრანტების მიერ გამოგზავნილი ან უშუალოდ შემოტანილი სახსრებით სულდგმულებდა საქართველოს ოჯახების საგრძნობი ნაწილი ეკონომიკური კრიზისის პირობებში (რომელიც არსებითად დღემდე არაა დაძლეული)*.*.

თუ ოფიციალური მონაცემების მიხედვით 1990-1996 წლებში დაახლოებით 295 ათასამდე ემიგრირებულს დაჯუმატებთ აფხაზეთიდან საზღვარგარეთ წასულ სულ ცოტა 120 ათასს, ცხინვალიდან კი - დაახლოებით 10 ათასს და დაჯუშვებთ, რომ კიდევ 250-280 ათასამდე ადამიანი ამოწერის გარეშე ხანგრძლივი ვადით არის წასული საქართველოდან, ძირითადად შრომითი მიგრაციის ფორმით, მაშინ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ფაქტობრივად ემიგრირებულთა საერთო რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს როგორც 670-700 ათასი ადამიანი.

არ დაგვავიწყდეს, რომ იმავე პერიოდში საქართველოში შემოვიდა, მართალია, მცირე რაოდენობის, მაგრამ მაინც სტატისტიკურად ყურადსაღები, იმიგრანტთა ნაკადიც: ოფიციალური აღრიცხვა მას 77 ათასად განსაზღვრავს. გამოთვლის მოხერხებულობისათვის შეიძლება ეს რიცხვი 80 ათასამდე დავამრგვალოთ. გარემიგრაციული უარყოფითი საღლო ასეთ შემთხვევაში გამოდის დაახლოებით 595-620 ათასი ადამიანი.

რასაკვირველია, ზემოთ მოტანილი უბეში დაშვებების საჭიროება არასრულმა აღრიცხვამ გამოიწვია. მაგრამ 250-280 ათასი არარეგისტრირებული მიგრანტის საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფნის ვარაუდი არ მიმაჩნია არც დიდ გადაჭარბებად და არც დიდ შემეცირებად. ფაქტობრივად, მეტი შეიძლება ვერც მოინახოს საქართველოში ადამიანი, რომელიც ენობრივადაც იქნება მომზადებული (ვთქვათ, რუსული ენის მინიმუმის ცოდნით მაინც), რაიმე ხელობაც ეცოდინება და შრომითი მიგრაციის რისკზე წასვლასაც არ მოერიდება.

საქართველოდან ემიგრირებულთა შესახებ თითქმის ანალოგიურ (ოღონდ არაპირდაპირ) რაოდენობრივ შეფასებას იძლევა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც თვლის, რომ "საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა მოსახლეობამ (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით) 1997 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 5386 ათასი კაცი. ქვეყნის სახეზე მყოფი მოსახლეობა რამდენადმე ნაკლებია და შესაბამისი აღრიცხვის არარსებობის გამო შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი შეადგენს დაახლოებით 4.9-5.0 მლნ კაცს" [საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური..., 1997, 35].

ეს მაჩვენებელი - "სახეზე მყოფი 4.9-5.0 მილიონი კაცი" - დაახლოებით 700 ათასი ემიგრირებულის დაშვების ტოლფასია შემდეგი მოსაზრებების გამო:

- 1989 წლის იანვარში მოსახლეობის აღწერამ საქართველოში 5443 ათასი სახეზე მყოფი მცხოვრები გამოავლინა [საქართველოს რეგიონების..., 1991, 3], ხოლო აღწერის შემდეგ განვიღო რვა წელიწადში მოსახლეობის ბუნებ-

რივმა ნამატმა ჯამში 220 ათასი შეადგინა***; გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვეყანაში შემოვიდა 80 ათასამდე იმიგრანტი;

- "საქართველოში სახეზე მყოფი 4.9-5.0 მილიონი კაცი" შეიძლება გამოვიდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 440-540 ათასს, ანუ განსხვავებას 1989 წლის მოსახლეობასთან (5.4 მილიონი), დამატება მოსახლეობის ბუნებრივი ნამატი, ანუ 220 ათასი (სადაც გათვალისწინებულია განვლილ რვაწლიან პერიოდში ახალდაბადებული და გარდაცვლილი მოსახლეობა) და გამოაკლდება იმიგრანტების რაოდენობა, ანუ 80 ათასი.

ეს კი იძლევა 1990-1996 წლებში საქართველოს მოსახლეობის გარემიგრაციული სალდოს მაჩვენებელს 580 და 680 ათასს შორის. ჩემი აზრით, რეალური მაჩვენებელი სადღაც ამ რიცხვებს შუაა, ანუ საქართველიდან გასულია დაახლოებით 700 ათასი და მოსულია დაახლოებით 80 ათასი ადამიანი, ხოლო უარყოფითი მიგრაციული სალდო დაახლოებით 620 ათასია.

4. გარემიგრანტთა ეთნიკური სტრუქტურა

მიგრანტთა ეთნიკური სტრუქტურა ისეთი მრავალეროვანი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. როგორც პირველ ნაწილში აღინიშნა, საბჭოთა პერიოდის პირველ ნახევარში საქართველოში ჭარბობდა არაქართული მოსახლეობის იმიგრაცია, ხოლო 1950-იანი წლებიდან – მათივე ემიგრაცია. მაგრამ ემიგრაციის ნაკადი ძლიერი არ იყო და რუსების გარდა, რომელთა აბსოლუტური რაოდენობის შემცირება დააფიქსირა 1970 წლის მოსახლეობის აღწერამ და, ებრაელების გარდა, რომელთაც იგივე ტენდენცია 1979 წლის აღწერის მასალებით დაუფიქსირდათ, ყველა სხვა ძირითადი ეთნოსის აბსოლუტური რაოდენობა საქართველოში სხვადასხვა ზომით მატულობდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1990-ანი წლებიდან გაძლიერდა ემიგრაცია ეთნიკური ნიშნით. ამას გავლენა უნდა მოეხდინა საქართველოში ეთნიკური ჯგუფების რიცხოვნობაზე.

ვერ იქნა მოპოვებული ეთნიკური ნიშნით საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის უწყვეტი დინამიკის მონაცემები 1992 წლის შემდეგ (მომდევნო წლების მონაცემები სტატისტიკურ ორგანოებს არ დაუშუქავებიათ). სამაგალითოდ აღებულია 1992 წლის მაჩვენებლები, რომლებიც ახალდამილილი საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებთან ეთნიკური ნიშნით მოსახლეობის მიგრაციის ტენდენციებს გვიჩვენებს და სტრუქტურულად ნაკლებად განსხვავდება წინა წლებისგან. გარდა ამისა, მომდევნო თავში გაანალიზებულია თბილისის მოსახლეობის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიგრაციის დინამიკა.

ცხრილ 2-ში მოტანილია მონაცემები მიგრანტთა ეთნიკური სტრუქტურის შესახებ აბსოლუტურ რიცხვებში და პროცენტობით. უნდა შევნიშნო, რომ მთლიანი ჯამი განსხვავებულია ცხრილ 6 და 7-ში მითითებულისაგან, რადგან

აქ ვერ პოვა ასახვა "შორულ საზღვარგარეთში" ემიგრირებულთა ეთნიკურმა სტრუქტურამ (იმ დროს არსებული სტატისტიკური პროგრამა არ ითვალისწინებდა მის გამოფერას) და "ყოფილ საბჭოთა კავშირთან" (რესპუბლიკის მითითების გარეშე) ეთნიკური ნიშნით მიგრაციული კავშირის მონაცემებმა (ისინი იმდენად მცირე იყო, რომ საერთო სტრუქტურას მაინც ვერც შეცვლიდა).

როგორც ვხედავთ, განსაკუთრებით ინტენსიური იყო სლავების (ფაქტობ-

ც ხ რ ი ლ ი 2

საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული გაცვლა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (1992 წელს)

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს	ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს		ს ლ ა ვ ი ს		ს ლ ა ვ ი ს (+ -)
	ღ ე	%	ღ ე	%	ღ ე
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს	7735	100.0	31976	100.0	24241
ს ლ ა ვ ი ს					
ს ლ ა ვ ი ს	3517	45.7	1944	6.1	+2743
ს ლ ა ვ ი ს	1658	21.7	15821	49.5	14163
ს ლ ა ვ ი ს	354	4.6	3103	9.7	2743
ს ლ ა ვ ი ს	73	0.9	474	1.5	399
ს ლ ა ვ ი ს	950	12.3	2616	8.2	-1666
ს ლ ა ვ ი ს	660	8.5	4338	13.6	3678
ს ლ ა ვ ი ს	173	2.2	2154	6.7	1981
ს ლ ა ვ ი ს	48	0.6	157	0.5	109
ს ლ ა ვ ი ს	163	2.1	725	2.3	562
ს ლ ა ვ ი ს	139	1.7	644	1.9	399

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

რივად, აღმოსავლეთ სლავების, ანუ ეთნიკური რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების) გასვლა. მათ ადრეც თითქმის იდენტური დემოგრაფიული, განსახლებითი და მიგრაციული ქცევა ახასიათებდათ [Gachechiladze, 1995, 90] და ამიტომ შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთიანი ჯგუფი. მათ შორის ბევრი იყო საბჭოთა არმიის სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც 1990-იანი წლების დამდეგიდან მიმდინარე ზოგიერთი სამხედრო შენაერთის დისლოკაციის შეცვლასთან დაკავშირებით (გადაადგილება ჩრდილოეთ კავკასიაში), მასობრივად ტოვებდნენ საქართველოს. ემიგრანტებს შორის სლავები 60%-ს აჭარბებდნენ. მათი უმეტესობა (88.5%) ქალაქის მკვიდრი იყო და ისინი თითქმის მთლიანად რუსეთის ფედერაციის ქალაქებში მიდიოდნენ საცხოვრებლად.

ამის საპირისპიროდ, ემიგრანტთა შორის მეორე ადგილზე მყოფი აზერბაიჯანელების ძირითადი ნაწილი (60%) სოფლის მოსახლეობა იყო, მაგრამ ისინიც უპირატესად სხვა ქვეყნების ქალაქებში გვემავდნენ ცხოვრებას.

საქართველოდან 1992 წელს გასული აზერბაიჯანელების მეოთხედზე მეტი რუსეთის ფედერაციაში მიდიოდა საცხოვრებლად, ხოლო დანარჩენი - ისტორიულ სამშობლოს უბრუნდებოდა.

ემიგრანტი სომხები რაოდენობრივად მესამე ადგილზე იყვნენ და მათი 71% ქალაქის მკვიდრი იყო. სომხების 56.2% რუსეთის ფედერაციაში გადასახლების მიზნით ამოეწერა საქართველოდან. საკუთრივ სომხეთში მათი მხოლოდ მეოთხედი გვემავდა ჩასახლებას. სომეხ ემიგრანტებს შორის საკმაო იყო "შორეულ საზღვარგარეთში" (ძირითადად აშშ-ში) მიმავალიც, მაგრამ ისინი ზემოთ მოტანილ ცხრილ 2-ში არ აისახენ (იმავე მიზეზით მცირე ჩანს ებრაელებისა და ბერძნების ემიგრაცია, რომლებიც ასევე უფრო მეტად ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ გვემავდნენ გასვლას).

დიდი იყო ოსების ემიგრაციაც. ის მასობრივი გახდა 1991 წლის დასაწყისიდან, როდესაც ამკარად გარეშე ძალების მიერ ინსპირირებულმა პოლიტიკურმა კონფლიქტმა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, ზედაპირზე ამოატივტივა საზოგადოების ყველაზე ნეგატიური, ნახევრად ან მთლიანად კრიმინალური ელემენტი, რომელიც შეეცადა ხელის მოთბობას ხელისუფლების უპასუხისმგებლო მოქმედების ფონზე და პოლიტიკური კონფლიქტი ეთნიკურში გადაზარდა. ამას მოჰყვა კონფლიქტში სრულეობით ჩაურეველი ოსების ემიგრაცია საქართველოს მრავალი რაიონიდან და ქალაქიდან. 1991 წლის განმავლობაში გადასახლდა 5407 ოსი. 1992 წლის შუაგულამდე კონფლიქტი აქტიურ სამხედრო ფაზაში იყო და ოსების ემიგრაცია გრძელდებოდა. საქართველოდან ამოწერილი ოსების 87% ქალაქის მკვიდრი იყო და მათი 98% რუსეთის ფედერაციაში, ძირითადად ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში გადადიოდა.

ემიგრანტებს შორის ქართველიც ცოტა არ იყო - 2 ათასამდე კაცი ანუ ემიგრანტთა 6.1%. მათი უდიდესი ნაწილი ქალაქელი იყო და 79% რუსეთის ფედერაციაში მიდიოდა.

რაც შეეხება იმიგრაციას, რაოდენობრივად ის ოთხეკრ და მეტად ჩამორჩებოდა ემიგრაციას და მხოლოდ ქართველებს ჰქონდათ დადებითი მიგრაციული საღლო: 1992 წელს დაბრუნდა 1573 ქართველით მეტი, ვიდრე წავიდა. ჩამოსულ ქართველთა შორის უმეტესობა - 66% - რუსეთიდან ბრუნდებოდა საქართველოში.

5. თბილისის მოსახლეობის მიგრაცია ეთნიკური ჯგუფების მიხედვით

გარკვეულ წარმოდგენას კრიტიკული პერიოდის - 1989-1993 წლების - მიგრაციის ეთნიკური სტრუქტურის დინამიკაზე გვაძლევს ქალაქ თბილისის მოსახლეობის მიგრაციის ანალიზი, რომელიც წარმოდგენილია ამ შრომის ავტორისა და ინგლისელი გეოგრაფის მაიკლ ბრედმოუს სტატიაში [Gachechiladze

& Bradshaw, 1994]. ჩვენი კვლევისათვის წყაროს წარმოადგენდა სახელმწიფო სტატისტიკის თბილისის საქალაქო სამმართველოს ინფორმაცია (1993 წლის შუაგულამდე, ვიდრე ხანძარი იმსხვერპლებდა დიდძალ მასალას).

მთლიანად თბილისის მოსახლეობის მიგრაციული სალდო (ჩაწერა-ამოწერის სტატისტიკის მიხედვით) ბოლო თერთმეტი წლის განმავლობაში ასეთი იყო (იხ. ცხრილი 3).

ც ხ რ ი ლ ი 3

ქ. თბილისში შემოსული და გასული მოსახლეობის რიცხოვნობა, ათასებში (1986-1996)

+ა ა ნ	დაცვა	საღა	აბსოლ. აა აა (+)
1986	20.8	12.6	+8.2
1987	19.0	12.7	+6.3
1988	18.9	13.5	+5.4
1989	18.2	14.2	+4.0
1990	15.3	14.0	+1.3
1991	12.4	19.6	7.2
1992	7.2	21.0	13.8
1993	4.2	24.7	20.5
1994	2.7	15.6	12.9
1995	0.9	8.5	7.6
1996	1.4	7.8	6.4
სა	121.0	164.2	43.2

წყაროები: [თბილისის მოსახლეობა, 1989]; სახელმწიფო სტატისტიკის თბილისის საქალაქო სამმართველო

როგორც ვხედავთ, დადებითი მიგრაციული სალდო თანდათან მცირდება და უკვე 1986 წლიდან, ხოლო სალდო უარყოფითი გახდა 1991 წლიდან. თბილისის მოსახლეობის გასვლამ პიკს მიაღწია 1993 წელს, როდესაც მთელ საქართველოში, და მათ შორის თბილისშიც, კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა, როგორც პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით (სამოქალაქო ომები, წარმოების მკვეთრი დაცემა, ენერგეტიკული შიმშილი, მოსახლეობის საერთო გაღატაკება, ჰიპერინფლაცია, კრიმინალთა თარეში, დევნილთა ნაკადი და ა.შ.). შემდგომ წლებში მოსახლეობის გასვლის ტალღა თანდათან ნელდება. თუმცა არც ოფიციალური შემოსვლა (ჩაწერა) მატულობს. მთლიანად განვილილ თერთმეტ წელიწადში თბილისიდან ამოეწერა 43.2 ათასით მეტი ადამიანი, ვიდრე ჩაეწერა. ფაქტობრივად, რასაკვირველია, თბილისის მოსახლეობის შემცირება არ მომხდარა (ამაზე ქვემოთ იქნება ლაპარაკი).

როგორც ცხრილიდან ჩანს, მიგრაციულ ნაკადებში კრიტიკული ცვლილების წლებია 1990-1991, როდესაც მიგრაციული სალდო დადებითიდან უარყოფითად იცვლება. ცვლილებების განხილვის საშუალებას იძლევა ამ პერიოდის (უფრო ზუსტად, 1989 წლიდან 1993 წლის პირველი ნახევრის ჩათ-

ქ. თბილისის მოსახლეობის მიგრაციული საღლო ეთნიკური ჯგუფების მიხედვით ათასეში (1989-1993 წლის პირველი ნახევარი)

აწ ი ა	აბრეშვილი 1989 წლის თ.საბ საბსა	1989	1990	1991	1992	1993 (I-VI)	1989-93 (I-VI)	აბრეშვილი 1989 თ.საბ საბსა
ა	1246.9	+3.8	+1.3	-7.2	13.9	9.1	25.1	2.0
აბრეშვილი	824.4	+4.9	+6.0	+4.9	+0.7	0.1	+16.4	+2.0
აბრეშვილი	422.5	-1.1	-4.6	-12.1	-14.6	-9.0	-41.4	-9.8
აბრეშვილი								
ა	124.9	0.9	2.8	6.5	7.9	4.7	22.9	18.3
აბრეშვილი	16.1	0.1	0.4	0.9	1.1	0.7	3.2	20.1
აბრეშვილი	150.1	+0.05	0.1	0.6	1.1	1.0	2.7	18
აბრეშვილი	18.0	-0.2	-0.5	-0.3	-0.4	-0.3	-1.8	-9.9
აბრეშვილი	33.2	+0.2	0.2	2.3	15	0.5	4.2	12.7
აბრეშვილი	13.5	0.2	0.4	0.6	10	0.7	2.9	21.3
აბრეშვილი	21.7	+0.03	0.1	0.6	0.5	0.6	1.9	8.9
აბრეშვილი	30.3	+0.2	+0.05	+0.1	0.01	0.1	+0.2	+0.7
აბრეშვილი	15.1	0.1	0.07	0.5	10	0.5	2.1	17

წყარო: [Gachechiladze & Bradshaw, 1994]

ვლით) ინფორმაცია თბილისის მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით მიგრაციის შესახებ. ცხრილ 4-ში მითითებულია მხოლოდ მიგრაციული საღლოები, ანუ რამდენით მეტი ან ნაკლები ადამიანი ჩაეწერა ან ამოეწერა თითოეული ეთნიკური ჯგუფის მიხედვით.

ამკარად ჩანს, რომ ქართველებზე უფრო ინტენსიურად თბილისიდან გაედინებოდა ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა. ასე მაგალითად, გასული (ამოწერილი) მოსახლეობის დიდი ნაწილი სღაგები იყვნენ. ამასთან მათი ჰვედრითი წილი წასულთა შორის მატულობდა: თუ 1989 წელს თბილისიდან ამოეწერა 4 ათასამდე სღაგური წარმოშობის მოქღაქე, ანუ ყვეღა გასულის 28%, 1990 წელს - 5.3 ათასი (37%), ზოლო 1991 წელს - 9 ათასზე მეტი (46%). ასევე გაიზარდა იმ პერიოდში ოსების გასღღაც: 1989 წელს - 413 კაცი, 1990 წელს - 544, ზოლო 1991 წელს - 2474 ეთნიკურად ოსი მოქღაქე ამოეწერა თბილისიდან. ამ პერიოდში ორივე ამ ეთნიკური ჯგუფის თბილისიდან ამოწერილი წარმომადგენლების აბსოლუტური უმრავღღესობა (სღაგების - 94%, ოსების - 88%) საქართველოს ფარგღღებს გარეთ წავიღღა.

1992 წელს მთავრობის დეკრეტის საფუძღველზე მობინდარღღებს უფღღება მიეცათ მოეხღღინათ სახეღღმწიფო ბინების პრივატობაცია (ეს არსებობდა ქღღაღღაქებს შეეზო, საღღაც იყო თავმოყრილი სახეღღმწიფო, საუწყებო ან ქღღაღღაქის საბჭოს საკუთრებღღაში მყოფი ბინების უმრავღღესობა, ზოლო კერძო საბინაო ფონდი სოფღღელთან შედარებით ნაკღღები იყო). ამან პოტენციურ ემიგრანტებს საშუაღღება მისცა კანონიერ საფუძღველზე გაეღღსვიღღებინათ თავისი ბინები (წინა

წლებში ეს კანონის ავლით უნდა მომხდარიყო და ბევრი ემიგრანტისათვის ბინის ფაქტობრივი დაკარგვით დამთავრდა). სხვათაშორის, სწორედ ამ კანონის წყალობით 1992-93 წლებში გაჩნდა შედარებით იაფი ბინების ბაზარი თბილისში და იმიგრანტებმა (და, აგრეთვე, უძრავი ქონების სპეკულანტებმა) მოახერხეს მათი შეძენა. შესაძლოა, სწორედ ბინის გაყიდვის შესაძლებლობამ დააჩქარა მრავალი პოტენციური ემიგრანტის მიერ წასვლის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. ამიტომაც 1992 და 1993 წლებში ემიგრაციული ტალღის ინერცია ჯერ კიდევ დიდი იყო და თბილისიდან წასული სლავების რაოდენობა 1992 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა კიდევ თითქმის 10 ათასამდე (ყველა გასულის 48%), თუმცა პოლიტიკური ფაქტორის გავლენა არსებითად შესუსტდა.

აღსანიშნავია, რომ ცხრილებში 3 და 4-ში მოტანილი მასალები ეხება როგორც საქართველოს გარე, ისე შიდა მიგრაციას. 1989-1993 წლებში თბილისში ახალჩაწერილთაგან საქართველოს მკვიდრი იყო 51.8%, საქართველოს ფარგლებს გარედან კი მოვიდა 48.2%. ხოლო ამოწერილთაგან შემდგომში საქართველოს სხვა რაიონებსა და ქალაქებში ჩაწერას გეგმავდა 23.8%, სხვა ქვეყნებში კი (რომლებიც უკლებლივ ყველა "საზღვარგარეთად" იქცა 1992 წლიდან) - 76.2%. ამრიგად "წასვლა" უპირატესად გარე მიგრაციას აღნიშნავს, განსაკუთრებით - არაქართული მოსახლეობის შემთხვევაში, რომელთა 91.4% ამოეწერა სხვა სახელმწიფოში გადასახლების მიზნით. მაგრამ თბილისელ ქართველებშიც ემიგრაციისაკენ ლტოლვა საკმაოდ მაღალი იყო: ამ პერიოდში ამოწერილ თბილისელ ქართველთა შორის საქართველოს ფარგლებს გარეთ მიდიოდა 32.7%.

6. გარე მიგრანტთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა

მიგრაციის სერიოზული ასპექტია მიგრანტთა სტრუქტურა. ზემოთ საგანგებოდ შევჩერდით ეთნიკურ სტრუქტურაზე. აქ კი მოკლედ შევეხებით სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას. წასვლის მიზნით ამოწერილი პირები, ანუ ემიგრანტები, მეტნაკლებად მოსახლეობის აღწერის მონაცემების შესაბამისი სქესობრივი სტრუქტურით გამოირჩევიან. როგორც ჩანს, ეს ძირითადად მთლიანი ოჯახების გასვლაა. მაგალითად, 1992 წელს წასულთა შორის მამაკაცები შეადგენდნენ 47,7%-ს, ხოლო ქალები - 52,3%-ს, ანუ თითქმის ზუსტად ასახავდნენ მოსახლეობის 1989 წლის აღწერით დადგენილ სქესობრივ სტრუქტურას. მოსულთა შორის მდებრობითი სქესის მოსახლეობა ოდნავ სჭარბობს "ნორმას" და 55,8%-ს შეადგენს; მამაკაცები, შესაბამისად, 44,2%-ია.

რაც შეეხება მიგრანტთა ასაკობრივ სტრუქტურას, ის გვიჩვენებს, რომ საქართველოში შემოსულ და გასულ მოსახლეობას საკმაოდ განსხვავებული ასაკობრივი შემადგენლობა აქვს. ასე მაგალითად, 1992 წელს ყოფილ საბ-

ჭოთა რესპუბლიკათაშორის მიგრაციებში მონაწილეთაგან საქართველოში შემოსული ქალაქის მოსახლეობის 15.4% იყო 15 წლამდე (ჩათვლით) ასაკისა, გასულთა შორის კი - 20.6% (თითქმის ანალოგიური იყო სტრუქტურა 1991 წელს, როდესაც შესაბამისი მაჩვენებლები აღმოჩნდა 14.8% და 18.4%). სოფელელ მიგრანტებს შორის 1992 წელს შეფარდება არანაკლებ კონტრასტული იყო - 11.9% და 22.2%, ხოლო 1991 წელს - 13.0% და 17.7% (არ დაგვავიწყდეს, რომ იმ წლებში საქართველოს სოფლიდან გასულთა შორის მრავალწვილიანობით გამორჩეული ჯერბაიჯანელები საგრძნობ წილს ქმნიდნენ).

ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის სიჭარბე საერთო ჯამში უფრო ხელსაყრელია მიმღები ქვეყნისათვის, რომელიც პოტენციურ მუშახელს ღებულობს. ეს განსაკუთრებით აქტუალურია რუსეთისათვის, რომელიც ბოლო წლებში განიცდის მოსახლეობის აბსოლუტურ ბუნებრივ კლებას (ანუ ნაკლები იბადება, ვიდრე კვდება). შედარებით არბილებს ამ პროცესს იმიგრაცია: ოფიციალური მონაცემებით, ბოლო ოთხ წელიწადში რუსეთის ფედერაციაში შევიდა 4 მილიონზე მეტი ადამიანი დსთ-ს სხვა ქვეყნებიდან. ამიტომაც აფასებს პოზიტიურად პოსტ-საბჭოთა სივრციდან მოსახლეობის იმიგრაციას რუსეთის ფედერალური მიგრაციული სამსახურის ხელმძღვანელი ტატიანა რეგენტი, რომელიც თვლის, რომ "[რუსეთის] საზოგადოებამ ჯერ კიდევ ვერ შეიგნო, რომ იმიგრაცია - სიკეთეა რუსეთისათვის: ეს არის ახალი ძალების მოღინება, ეს არის შრომითი რესურსები, ეს არის ბავშვები და ახალგაზრდობა, ეს არის დემოგრაფიული სიტუაციის რუსეთის სასარგებლოდ შეცვლა, რომლის გარეშეც ჩვენ დეპოპულაციის ზღვარს გადავცდებით" [Айрапетова, 1997].

მაგრამ რუსეთი საქართველოდან ასეთ "დემოგრაფიულ დახმარებას" მაინც ნაკლებად ღებულობს. საქართველოდან გასულებს ბავშვების ერთგვარ სიმრავლესთან ერთად საპენსიო ასაკის, განსაკუთრებით - ქალების, მაღალი ხვედრითი წილიც ახასიათებთ: 1992 წელს ქალაქის მკვიდრ ემიგრანტებს შორის (რომლებიც არსებითად განსაზღვრავენ ემიგრანტთა სტრუქტურას, რადგან მათი ჯამის თითქმის ოთხ მეხუთედს შეადგენენ) მოხუცები 15%-ს აღწევენ.

ამის საპირისპიროდ, იმიგრანტებს შორის 6.5%-ია საპენსიო ასაკისა (1991 წელსაც შეფარდება დაახლოებით ისეთივე იყო - 14.2% და 7.5%). სოფელელ მიგრანტებს შორის (რომლებიც ემიგრანტთა შორის 21%-ს, იმიგრანტთა შორის კი - 25%-ს შეადგენენ და ამიტომ საერთო სურათზე ვერ ზემოქმედებენ), რამდენადმე მეტია საპენსიო ასაკის იმიგრანტთა ხვედრითი წილი.

საბოლოო ჯამში, შრომისუნარიანი ასაკის მიგრანტი საქართველოში შეფარდებით უფრო მეტი შემოდის (78-79%, მათ შორის 16-29 წლისა - 48-52%), ვიდრე გადის (65-67%, მათ შორის 16-29 წლისა - 28-32%). ეს სტრუქტურა საქართველოსათვის დადებითად შეიძლება შეგვეფასებინა, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკას ჯერჯერობით არ შეუძლია სრულფასოვნად დაასაქმოს აქ არსებული შრომითი რესურსებიც კი. ამიტომაც, რომ იმიგრაცია

მცირე და კვლავაც გრძელდება ახალგაზრდობის გასვლა საზღვარგარეთ. ზოგი მათგანი სასწავლად მიდის.

ზუსტი ოფიციალური მონაცემების უქონლობის პირობებში არასტრუქტურალისებური შემთხვევითი დაკვირვება, მათ შორის პირადი საუბრები, გვაპარაუდებინებს, რომ საქმე გვაქვს ბოლო 7-8 წელიწადში დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის უნივერსიტეტებში სასწავლად ათასიდან ორ ათასამდე ქართველი ახალგაზრდის გამგზავრებასთან. რუსეთში სასწავლად წასვლა მკვეთრად შემცირდა. თუმცა წასულთა ნაწილი შესაძლოა საბოლოოდ დამკვიდრდეს კიდევ საზღვარგარეთ, უმრავლესობა მაინც უბრუნდება (ან მასობრივად დაუბრუნდება, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კვალდაკვალ) საქართველოს, აღჭურვილი მეტი ცოდნით, გამოცდილებით და, შესაძლოა, ფინანსური კაპიტალითაც.

7. ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფის მიგრაციული განწყობა

ინტერესს იწვევს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მიგრაციული განწყობა, მათ შორის მიგრაციულად კრიტიკულ პერიოდებში. ამ მიზნით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტმა "დემოკრატიისა და აღორძინების" ფონდის დაკვეთით 1993 წლის აპრილში ჩაატარა საქართველოს მოსახლეობის რეპრეზენტატული მასივის გამოკითხვა. საინტერესოდ იქნა მიჩნეული მიგრაციულად ყველაზე აქტიური, რუსული მოსახლეობის, თვალსაზრისის დადგენა, რომელთა გამოკითხვა ევალეზობდათ რუსული წარმომობის ან რუსულენოვან ინტერვიუერებს, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ნებისმიერი არასასურველი ზეგავლენა პასუხების სიზუსტეზე. საკონტროლოდ სხვა ეთნიკური ჯგუფებიც გამოიკითხა.

გამოვეყნებ რამდენიმე კითხვას და პასუხებს მათზე [Гачечиладзе, 1993]. კითხვებზე "ირღვევა თუ არა საქართველოში რუსი მოქალაქეების სამოქალაქო უფლებები?" დადებითი პასუხი გასცა რუსი რესპონდენტების 18%-მა და ქართველი რესპონდენტების 6%-მა, ხოლო უარყოფითი პასუხი შესაბამისად 68 და 84%-მა (დანარჩენს გაუჭირდა პასუხი). როგორც ვხედავთ, რუსი რესპონდენტებიც კი უმეტესად ვერ ხედავდნენ საქართველოში თავიანთი სამოქალაქო უფლებების დარღვევას, თუმცა თითქმის მეხუთედი ასეთ პრობლემაზე მაინც მიუთითებდა. ქართველი რესპონდენტები უფრო ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი.

ნაკლებ ოპტიმისტური იყო ორივე ეთნიკური ჯგუფის რესპონდენტთა აზრი საქართველოში რუსული მოსახლეობის მომავლის შესახებ: საკმაოდ ბევრი - ქართველების 30% და რუსების 28% - თვლიდა, რომ "რუსების უმრავლესობა საქართველოდან წავა". მეორე მხრივ, ქართველების 52% და რუსების 59% თვლიდა, რომ "რუსების უმრავლესობა დარჩება აქ და მონაწილეობას მიიღებს დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს მშენებლობაში".

გამოკითხული რუსების მხოლოდ 3-მა პროცენტმა გამოხატა "იმპერიული ტენდენცია" და განაცხადა, რომ "რუსები საქართველოში დარჩებიან და მათ ყველანაირი (მათ შორის ძალოვანი) მეთოდებით დაიცავს რუსეთის ფედერაცია". ასეთი მომავლის უპერსპექტივობა გათვითცნობიერებული აქვს ადგილობრივი რუსული მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას.

ეთნიკურ რუს რესპონდენტებს დაესვათ კითხვა: "თუ რუსები გადაწყვეტენ საქართველოდან წასვლას, რა შეიძლება იყოს ამისი უმნიშვნელოვანესი მიზეზები?"

ძირითადი მიზეზები, რომელთაც შეიძლება აიხლონ რუსული მოსახლეობა წავიდეს საქართველოდან (პროცენტებში - რუსი რესპონდენტების პასუხებიდან. 1993 წ. აპრილი)

1. სეპარატიზმი და რუსული ენის დაცვა	55
2. რუსული ენის დაცვა და სოციალური უთანასწორობა	47
3. უთანასწორობა და სოციალური უთანასწორობა	41
4. ობიექტიური მიზეზები: უთანასწორობა, უთანასწორობა, უთანასწორობა	36
5. უთანასწორობა და სოციალური უთანასწორობა	35
6. უთანასწორობა და სოციალური უთანასწორობა	34
7. უთანასწორობა და სოციალური უთანასწორობა, უთანასწორობა	27
8. ობიექტიური მიზეზები: უთანასწორობა, უთანასწორობა	26
9. უთანასწორობა და სოციალური უთანასწორობა	11

წყარო: [Гачечиладзе, 1993]

ბი?" რესპონდენტებს შეეძლოთ ამოერჩიათ რამდენიმე პასუხი შეთავაზებული სიდიდან, ამიტომაც ცხრილ 5-ში ასახული პასუხების ჯამი 100%-ს აღემატება.

როგორც ვხედავთ, რუსების პოტენციური ემიგრაციის ძირითადი ფაქტორები სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისა და "განმზიდავი" იყო: რუსულ (და, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, არა მარტო რუსულ) მოსახლეობას ემიგრაციისაკენ უბიძგებდა ეკონომიკური კრიზისი, უმუშევრობა, აგრეთვე კრიმინალური თარეში, რაც 1992-1994 წლების საქართველოში განსაკუთრებით სწიმო სოციალურ პრობლემად იქცა. გამოკითხვის პერიოდში ასევე მძიმე პრობლემა იყო აფხაზეთის ომი. "მიმზიდავი" ფაქტორი - უკეთესი ეკონომიკური ვითარება პოტენციური ემიგრაციის ქვეყანაში - ოდნავ ნაკლებად იყო გამოვლენილი. ყოველ შემთხვევაში, რუსი რესპონდენტების ორმა მესამედმა ის უგულებელყო როგორც ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რასაც ემიგრაციის გადაწყვეტილებაზე შეიძლება ემოქმედა.

პოლიტიკური ტიპის ფაქტორები - სახელმწიფო ენის არცოდნა, ორმაგ მოქალაქეობაზე დაუკმაყოფილებელი პრეტენზია - არ შეიძლება ემიგრაციის ძირითად განმსაზღვრელ მოტივებად განვიხილოთ: "საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის კანონი" არავითარ დისკრიმინაციას არ ქმნის ქართული ენის არ-

მკოდნეთათვის (განსხვავებით, მაგალითად, ბალტიის ზოგიერთი სახელმწიფო-საგან) და, ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო ენის შესწავლაც შეიძლება. ორმაგი მოქალაქეობა კი კანონით იკრძალება სახელმწიფოების უმრავლესობაში: საქართველოში მისი პრეცედენტის დაშვება გამოიწვევდა ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლის სრულ დაკარგვას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სასაზღვრო რეგიონებზე და კიდევ უფრო გააძლიერებდა სეპარატისტულ რეგიონებში სხვა სახელმწიფოს ლეგალური ჩარევის საშუალებას (მისი არალეგალური ჩარევა საქართველოსათვის ისედაც დიდ პრობლემას ქმნის). მოუხედავად ამისა, ცნობილია, რომ საქართველოს ზოგი მოქალაქე რუსეთის ფედერაციაში ცხოვრებისას იქაურ მოქალაქეობასაც იღებს (ზოგიერთი არაპირდაპირი მონაცემი 12 ათასამდე ასეთი პირის არსებობაზე მოუთითებს [Davitashvili, 1997]), ანუ დაუსჯელობის იმედით კანონის უხეშ დარღვევაზე მიდის.

რაც შეეხება შესაძლო ემიგრაციის მიზნად "რუსული მოსახლეობის ჩაგვრის" გამოცხადებას, ის რუსი რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობისათვის არ არსებობდა და მხოლოდ 11-მა პროცენტმა მიუთითა მასზე. ამრიგად, რუსული (და, სავსებით შეგვიძლია დაუშვათ, სხვა ეთნიკური ჯგუფების) ემიგრაციის პოლიტიკური მოტივაცია 1993 წელს სუსტი იყო და მას მკვეთრად სჭარბობდა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა გურამ სვანიძე, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩვენი გამოკვლევებიდან ერთი წლის თავზე, 1994 წლის აპრილში, ჩატარდა სხვადასხვა ეროვნების თბილისელი რესპონდენტების გამოკითხვა. დადგენილ იქნა, რომ მთელ მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი რუსულში, არსებობდა ძლიერი ემიგრაციული განწყობა. ამ თვალსაზრისით რიგით მეორე ადგილზე იდგა სომხური მოსახლეობა. ამასთან ერთად მის დასკვნაში ნათქვამია, რომ "ემიგრაციაზე ძლიერმოქმედ ფაქტორთა რიგში, ყველა [ეთნიკური ჯგუფის] ქვემასივისათვის გამოიკვეთა 'ცხოვრების დონის დაცემა', 'ხვალინდელი დღის რწმენის დაკარგვა'. ფაქტორი 'ხელისუფლების, მოსახლეობის არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება' ნაკლებად შესამჩნევთა რიცხვში მოხვდა" [Сванидзе, 1994, 26].

ამრიგად, 1994 წელსაც პოლიტიკური ფაქტორი ეთნიკური ნიშნით ემიგრაციაზე არსებითად არ ზემოქმედებდა და ისევ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები იყო გადამწყვეტი. შემდგომ წლებში, როდესაც საქართველოში პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესება უკვე აღიარებულ ფაქტად იქცა, პოლიტიკური მოტივით ემიგრაცია კიდევ უფრო ნაკლებ მოსალოდნელია. გარდა ამისა დამნაშავეთა თარეში ქუჩებსა და გზებზე 1995 წლის ბოლოსათვის არსებითად აღმოიფხვრა.

ამასთან ერთად, ეთნიკურად არაქართული ჯგუფების სიჭარბე ემიგრანტთა შორის გვაფიქრებინებს, რომ მათ მაინც ბოლომდე შეუქცევადად არ მიაჩნიათ საქართველოში ინტენსიურად მიმდინარე პოლიტიკური სტაბილიზა-

ციის პროცესი და ამჟამად არსებული ტოლერანტული ატმოსფერო, ანუ "ხვალინდელი დღის ბოლომდე ნდობა" არ შეუძლიათ. არ არის გამორიცხული, რომ ასეთ განწყობაზე ზემოქმედებს აფხაზეთის პრობლემის მოუგვარებლობა და ამ საქმეში გარეშე ძალის თითქმის დაუფარავი ნეოიმპერიალისტური ჩარევა, რაც, ბუნებრივია, ნეგატიურად განაწყობს საქართველოს საზოგადოებრივ ჯარს ჩარევის ამ სუბიექტის მიმართ. ამიტომაც ის არაქართული ოჯახები და ინდივიდები, რომელთაც შედარებით უკეთესი მატერიალური მდგომარეობა აქვთ, მაინც ემიგრაციას ამჯობინებენ. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ადგილზე შენარჩუნებული იქნება ძირითადად ის არამკვიდრი მოსახლეობა, რომელიც ქონებრივად და სოციალური სტატუსით უფრო დაბალ საფეხურზე დგას, ვიდრე უმრავლესობა.

პროგნოზის სახით შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ ეთნიკურად არაქართული ჯგუფების ემიგრაცია უახლოეს მომავალში თუმცა შემცირდება, მაგრამ მაინც უფრო ინტენსიური იქნება, ვიდრე ეთნიკური ქართველებისა და მოსალოდნელია, რომ უკვე 1999 წლის აღწერამ ასახოს მოსახლეობის ეროვნულ სტრუქტურაში საკმაოდ მკვეთრი ცვლილება, კერძოდ ეთნიკური ქართველების გაზრდილი ხვედრითი წონა.

8. გარე მიგრაციის გეოგრაფია

გარე მიგრაციის მიმართულება მიგრაციული პროცესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ზოგიერთ შემთხვევაში იგი მიგვითითებს ქვეყნის საგარეო ეკონომიკური და კულტურული კავშირების მიმართულებაზეც კი. ნებისმიერი სახელმწიფოს გარე მიგრაცია გვიჩვენებს, თუ რომელ ქვეყნებში აქვს მეტი ინტერესი მის მოსახლეობას.

1990-იან წლებში საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციების გეოგრაფიის შესახებ გარკვეული ინფორმაცია (1990, 1991 და 1996 წლების მონაცემები) სტატისტიკურ ორგანოებში შეაგროვა ზურაბ დავითაშვილმა [Davitashvili, 1997]. ქვემოთ მოტანილი ცხრილების 6 და 7 შედგენისას წყაროდ ეს ინფორმაცია იქნა გამოყენებული, რომელსაც დავითაშვილმა სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტში მიკვლეული ინფორმაცია 1992 წლის შესახებ.

როგორც ცხრილებიდან ჩანს, მიუხედავად 1990-იანი წლების დასაწყისისა და შუაგულის მიგრაციების აბსოლუტურ მაჩვენებლებში დიდი რაოდენობრივი სხვაობისა, მათი გეოგრაფიული სტრუქტურა ნაკლებად შეიცვალა. საინტერესოა, რომ აქაც მოქმედებს რავენსტაინის "მეოთხე კანონი": "თითოეული მიგრაციული ნაკადი წარმოქმნის კომპენსაციურ საწინააღმდეგო ნაკადს". როგორც ემიგრაციაში, ისე იმიგრაციაში წამყვან როლს თამაშობდა და თამაშობს რუსეთის ფედერაცია, რომელსაც მოსდევს ამიერკავკასიის მეზობელი რესპუბლიკები და უკრაინა. დანარჩენი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები უმნიშვნე-

ცხრილი 6

ემიგრაცია საქართველოდან დანონსულების ქვეყნების მიხედვით 1990-92 და 1996 წლებში (ათასეში)

ოცნაბი	1990		1991		1992		1996	
	ბე	%	ბე	%	ბე	%	ბე	%
ა ა	42.9	100.0	49.9	100.0	35.1	100.0	13.2	100.0
აი ბა	213	49.7	33.8	67.8	23.2	66.2	9.0	67.8
რ ბი	35	8.2	4.4	8.7	3.8	10.7	0.8	5.9
სა ბი	0.3	0.6	0.3	0.6	0.5	1.4	0.1	0.6
ბესბი	8.0	18.5	4.5	9.0	3.3	9.5	0.3	2.2
ბაბა	2.5	5.7	2.3	4.6	1.0	2.9	0.5	3.5
ბბა	0.3	0.6	0.1	0.2	0.2	0.4	0.1	0.3
სბბა (ბი ბა ბბა)	0.3	0.6	0.3	0.5	0.2	0.4	0.1	0.4
(ბი ბა ბ ბბა ბსბ ბსბსბ ბსბსბ)	19	4.3	0.2	0.4	0.1	0.2	0.1	0.1
ბბბბბა ("ბბბ ბ ბ ბბბბბ")	5.0	11.6	3.9	7.8	2.9	8.3	2.5	19.1
ბ ბბბ:								
ბბბბა	1.5	11.2
ბბბა	0.6	4.9
ბ	0.3	2.0
სბბბ	0.1	0.8

ცხრილი 7

მიგრაცია საქართველოში ქვეყნების მიხედვით 1990-92 და 1996 წლებში (ათასეში)

ოცნაბი	1990		1991		1992		1996	
	ბე	%	ბე	%	ბე	%	ბე	%
ა ა	27.3	100.0	20.9	100.0	9.2	100.0	1.2	100.0
აი ბა	15.0	55.0	12.3	63.4	6.0	65.3	0.7	55.8
რ ბი	2.2	8.2	1.6	7.7	0.6	6.2	0.1	10.7
სა ბი	0.3	1.1	0.2	0.9	0.1	0.9	0.0	0.7
ბესბი	1.2	4.6	0.6	3.1	0.6	6.1	0.1	10.5
ბაბა	0.8	2.9	0.6	2.9	0.4	4.4	0.1	6.3
ბბა	0.3	1.1	0.1	0.6	0.1	0.6	0.0	1.3
სბბა (ბი ბა ბბა)	0.5	1.8	0.3	1.3	0.1	1.2	0.1	5.0
(ბი ბა ბ ბბა ბსბ ბსბსბ ბსბსბ)	6.1	22.2	4.5	21.8	1.1	11.9	0.0	0.4
ბბბბბა ("ბბბ ბ ბ ბბბბბ")	0.8	3.1	0.7	3.1	0.3	3.4	0.1	9.3

ნელო როლს ასრულებენ საქართველოს მოსახლეობის მიგრაციულ გაცვლაში. "შორეული საზღვარგარეთის" ქვეყნებიდან ყველაზე დიდი ემიგრაციული ნაკადები საბერძნეთსა და ისრაელში, მათ დიდი ჩამორჩენით მოსდევენ შშუ და გერმანია. განვილი პერიოდში რამდენიმე ათეული კაცი გადასახლდა კანადასა და ავსტრალიაში.

ბუნებრივია, მთელი ეს ინფორმაცია ეხება მხოლოდ რეგისტრირებულ ემიგრაციასა და იმიგრაციას. მაგრამ ნაკლებ მოსალოდნელია, რომ არარეგისტრი-

რებული, უპირატესად შრომითი ემიგრაციის, ქვეყნები სხვა იყოს: ამ შემთხვევაშიც წასვლის ქვეყნებად იგივე რუსეთის ფედერაცია, აგრეთვე საბერძნეთი, გერმანია უნდა ვიგულისხმოთ. მათ უნდა დაემატოს თურქეთი და კვიპროსი, რომლებიც რეგისტრირებული ემიგრაციის ქვეყნებში ნაკლებად ფიგურირებენ.

გარემიგრაციული საღლოს მიხედვით აშკარაა, რომ საქართველოდან ემიგრაცია ჭარბობს: 1990 წელს რუსეთის ფედერაციასთან უარყოფითი მიგრაციული საღლო შეადგენდა 6334 კაცს, 1991 წელს - 21531-ს, 1992 წელს - 17480-ს, 1996 წელს კი 8260-ს. უწყვეტი დინამიკური მწკრივის ხელმოუწვდომლობის გამო შეიძლება მხოლოდ დავუშვათ, რომ 1990 წლიდან განვლილ პერიოდში მართო რუსეთის ფედერაციაში გადასახლდა (ჩაეწერა) დაახლოებით 90 ათასით მეტი ადამიანი, ვიდრე იქიდან მოვიდა საქართველოში.

რუსეთის ფედერაციაში საქართველოდან წასული ემიგრანტები უპირატესად ჩრდილო კავკასიის რეგიონს ამჯობინებდნენ: 1990-92 წლებში იქ გადასახლდა საქართველოდან რუსეთში წასულთა ნახევარზე მეტი. საკუთრივ ჩრდილო კავკასიაში კი ყველაზე მიმზიდველი იყო კრასნოდარის მხარე, როსტოვის ოლქი და ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკა (ამ უკანასკნელში ძირითადად საქართველოს ოსები მიდიოდნენ). საქართველოდან ემიგრაციის მიზიდულობის დიდი ცენტრი იყო მოსკოვი. რუსეთის იმავე რეგიონებიდან მოდიოდა საქართველოში იმიგრაციული ნაკადი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეთნიკური შედგენილობით ემიგრაციული ნაკადი ჭრელი იყო: რუსეთში მიდიოდნენ როგორც სლავები (ისინი უმრავლესობას შეადგენენ, საშუალოდ 55%-ს), ასევე სომხები, აზერბაიჯანელები და ქართველები. რუსეთიდან საქართველოში შემოსულთა შორის სჭარბობდნენ ქართველები, რომლებიც არსებითად რეპატრიანტები არიან. ასე მაგალითად, 1991 წელს რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში გადმოსახლებულთა შორის ქართველები 54%-ს შეადგენდნენ.

9. თანამედროვე შიდა მიგრაციის ძირითადი თავისებურებები საქართველოში

შიდა მიგრანტების ყველაზე მძლავრი ერთდროული ნაკადი 1993 წელს მოგვცა აფხაზეთმა, საიდანაც სეპარატისტების მიერ ფაქტობრივად განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად გამოიდეგნა მოსახლეობის ნახევარზე მეტი. ეს არის აშკარად პოლიტიკური მოტივებით განპირობებული მიგრაცია. გარდა ამისა, მომდევნო პერიოდში იმავე ტერიტორიიდან ხორციელდებოდა ეკონომიკური ხასიათის ემიგრაცია, ძირითადად რუსეთის მიმართულებით. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით დევნილთა რაოდენობა საქართველოში 1997 წლის 1 იანვრისათვის 286 621-ს შეადგენდა (რომელთაგან 270 ათასი აფხაზეთიდან

იყო). თუ ამ ოფიციალურ მონაცემებს უკრიტიკოდ მივიღებთ, გამოვა, რომ აფხაზეთიდან დევნილი ყველა ქართველი და ზოგი სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელიც დანარჩენი საქართველოს ქალაქებში და რაიონებში აღმოჩნდა (1989 წლის მოსახლეობის აღწერის შესაბამისად აფხაზეთში მუდმივად ცხოვრობდა 239 872 ქართველი [საქართველოს მოსახლეობის..., 1991, 7]. სინამდვილეში აფხაზეთის ბევრი ქართველი და სხვა ეროვნების ადამიანიც საზღვარგარეთ წავიდა, უპირატესად რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში. ამიტომაც საქართველოში შიდა (პოლიტიკურ) მიგრანტთა რაოდენობა რამდენადმე ნაკლები უნდა იყოს (230-250 ათასი), მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ის სერიოზულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას ქმნის სახელმწიფოსათვის.

ქვეყნის შიგნით იძულებით ადგილნაცვალთაგან 43% აფხაზეთის მიმდებარე სამეგრელოს მხარეში ცხოვრობს, ხოლო 27%-მდე - თბილისში, სადაც მათ რაოდენობრივი კომპენსირება მოახდინეს გარემიგრაციული პროცესების შედეგად შემცირებული მოსახლეობის რიცხოვნობისა (ზევით სწორედ ამიტომ აღინიშნა, რომ მოუხედავად თბილისის მოსახლეობის მექანიკური მატების მაჩვენებლების შემცირებისა, მისი მოსახლეობის ფაქტობრივი შემცირება არ მომხდარა: დევნილები არ აღირიცხებოდნენ შიდა მიგრაციის მაჩვენებლებში, რადგან მათი მუდმივი ჩაწერა არ ხდებოდა). გარდა ამისა, აფხაზეთიდან დევნილთა კონცენტრაცია შესამჩნევია დიდ ქალაქებში - რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში, აგრეთვე წყალტუბოსა და გორში.

დევნილების სოციალური ადაპტაცია ახალი (დროებითი) განსახლების ადგილებში რთულია, რადგან ისინი ცხოვრობენ ან ნათესავ-მეგობრების ბინებში (ნახევარზე მეტი) ან სასტუმროებში, საერთო საცხოვრებლებში, სანატორიუმებში და ამიტომ მჭიდროდ შეკრული თემის (community) შეგრძნებას არ კარგავენ. ერთი მხრივ ეს კარგია, რადგან ისინი მუდმივი განსახლების ადგილზე დაბრუნების სურვილს ინარჩუნებენ, მაგრამ მეორე მხრივ - აძნელებს მათ აკულტურაციას ქალაქის მკვიდრ მოსახლეობასთან. როდესაც იმავე რეგიონებიდან, მაგალითად, თბილისში, სასწავლად ან სამუშაოდ მოდიოდა რაოდენობრივად თუნდაც დიდი, მაგრამ ინდივიდუალურად დაქსაქსული მიგრანტთა ნაკადი, მათი აკულტურაცია, ასე ვთქვათ "გათბილისლება", ნაკლებად ჭირდა.

დროებითი განსახლების ადგილებში დევნილთა მასა თავს მხოლოდ დროებით თავშეფარებულად თვლის. ასევე მიიჩნევს მას საზოგადოებრივი აზრი და ოფიციალური ხელისუფლებაც. ეს კი ართულებს მათ მუდმივ სამუშაოზე მიღებას. ამიტომ დასაქმების ძირითად სფეროდ მათ ექცათ წვრილი ვაჭრობა ქუჩებსა და ბაზრობებზე, სხვადასხვა დროებითი, ნაკლებ კვალიფიციური სამუშაო. მათი მშობლიურ კერაზე დაბრუნება საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ცნობილია, რომ მათი სახლ-კარი გადამწვარი და განანგებული თუ არ არის, უკავიათ სხვა პირებს (უპირატესად სეპარატიზმის მომხრეებს). ეს კიდევ უფრო გაართულებს მათი უკუ-მიგრაციის პროცესს და

სახელმწიფოს დიდი ძალისხმევა დასჭირდება მათ უკან დასაბრუნებლად.

სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით განპირობებული შიდა მიგრაციის და რაოდენობრივი მხარის შესასწავლად საჭიროა დეტალური სტატისტიკა. ამ დროს კი საქართველოს მოსახლეობის ბოლოდროინდელი შიდა მიგრაციის შესახებ ინფორმაცია კიდევ უფრო ტუნწია, ვიდრე გარე მიგრაციის შესახებ. ამ ნაშრომის მომზადებისას შევეცადე გამომეყენებინა თუნდაც ეს მცირედი ინფორმაცია. აღებულია სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტში დაცული 1990-92 წლების მონაცემები, ფაქტობრივად ბოლო პერიოდის შესახებ, როდესაც სტანდარტული საბჭოთა სტატისტიკური მეთოდებით აღირიცხებოდა მიგრაციული ნაკადები.

საქართველოს საქალაქო დასახლებებში 1990 წელს მოვიდა 20039 კაცი მეტი, ვიდრე წავიდა, 1991 წელს კი - 13842. ახალმოსულთა ნახევარზე მეტი ორივე წელს (შესაბამისად 50.5% და 52.5%) სოფლიდან იყო. ქალაქებიდან წასულთა უმეტესობა სხვა ქალაქებში მიდიოდა: 1990 წელს - 63.5%, ხოლო 1991 წელს - 64.4%.

1992 წელს ქალაქებში მოსახლეობის მიგრაციულმა სალდომ მკვეთრად იკლო და 5659 კაცამდე დავიდა: ჩვენი ქვეყნის სხვა დასახლებული პუნქტებიდან ქალაქებში მოვიდა (ჩაეწერა) 10187 მიგრანტი (მათი 52% სხვა ქალაქებიდან მოვიდა, 48% კი - სოფლიდან), ხოლო ქალაქებიდან წავიდა 4528 (მათი 45% ქალაქებში წავიდა, 55% კი - სოფელში). ამრიგად სოფლიდან ქალაქში მიგრაცია საკმაოდ შემცირდა, ხოლო სოფელი მოულოდნელად ქალაქელებისათვის სასურველი დასახლების ადგილი შეიქმნა. ქვევით შევეცდები ავხსნა, თუ რატომ გამოვიყენე სიტყვა "მოულოდნელად".

კიდევ უფრო საინტერესო ჩანს ცვლილება სოფლის მოსახლეობის მიგრაციაში. 1990 და 1991 წლებში სოფლად მიგრაციული სალდო უარყოფითი იყო: შესაბამისად 1232 და 2074 კაცით ნაკლები მოვიდა, ვიდრე წავიდა. ამასთან სოფლიდან წასულთა ორი მესამედი 1990 წელს ქალაქებში მიდიოდა (1991 წელს - 62%). ეს ნიშნავს, რომ გრძელდებოდა ცნობილი ტენდენცია სოფლიდან ქალაქში მიგრაციისა. მაგრამ უკვე 1992 წელს სოფლად აღირიცხა მეტი ახალმოსული (6345), ვიდრე გასული (5434) და შიდა მიგრაციული სალდო დადებითი გახდა (+911). სოფლად ახალგადასახლებულთა შორისაც ყოფილი ქალაქელები ჭარბობდნენ (61%).

სამივე წლის განმავლობაში ეთნიკური ქართველები აშკარად დომინირებდნენ შიდა მიგრაციებში: ისინი ყველა რეგისტრირებული მიგრანტის 82-91%-ს შეადგენდნენ.

თუმცა სამი წლის ინფორმაციის განზოგადება ისეთი დინამიკური პროცესის შესწავლისას, როგორც მიგრაციაა, რისკთან არის დაკავშირებული, მაინც გაუბედავ და ვიტყვი, რომ ეს მონაცემები ესადაგება 1990-იანი წლების პირველი ნახევრის ემპირიულად შესამჩნევ ტენდენციებს:

- საქართველოს შიგნით ქართული მოსახლეობა მიგრაციულად უფრო მობილური იყო, ვიდრე ეთნიკური უმცირესობანი;

- სოფლის მოსახლეობა ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით უფრო ნაკლებ მობილური გახდა, ვინაიდან ეკონომიკურმა გაჭირვებამ ბევრი სოფელი და ზოგი ქალაქელიც კი აიძულა ნატურალურ მეურნეობაზე გადასულიყო და სოფლად მის ხელთ არსებულ მიწის ნაკვეთს მტკიცედ ჩასჭიდებოდა.

ერთგვარი "რურალიზაციის" (ანუ "განსოფლების") სტიმულატორი, ურბანიზაციის (ანუ "განქალაქების") საგრძნობი შესუსტების ფონზე გახდა ის ფაქტი, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის განკარგულებით სოფლის მეურნეობაში ჩაბმული მოსახლეობის საკუთრებად ცხადდებოდა ადრე მათთვის კოლმეურნეობისა ან საბჭოთა მეურნეობის მიერ მიცემული საკარმიდამო ნაკვეთი 1.25 ჰექტარამდე ფართობით (ანდა თუ ნაკვეთი ზომით ნაკლები იყო, მისი შევსების უფლება წესდებოდა). არასასოფლო-სამეურნეო შრომაში ჩაბმულ სოფლის მცხოვრებლებს ნორმად 0.75 ჰა უწესდებოდათ, ხოლო ქალაქის მცხოვრებლებს უფასოდ შეეძლოთ მიეღოთ 0.25 ჰა მიწა.

საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მიწის ნაკვეთს ფლობდა ან დაეუფლა მას (განსაკუთრებით ბარში, უკეთესი ხარისხისას), ან კერძო პირუტყვის საძოვებლად სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილ მიწას იყენებდა, შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე ეკონომიკური კრიზისით მოცული ქალაქების, განსაკუთრებით თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმის მოსახლეობა (აფხაზეთის სამოქალაქო ომის დროს მისი დედაქალაქი სოხუმი ფრონტისპირა ქალაქი იყო და მისი მოსახლეობა ძალიან მძიმე დღეში აღმოჩნდა; 1993 წლის შემოდგომიდან კი, როდესაც აფხაზეთის ტერიტორიის მეტი ნაწილი სეპარატისტებმა იგდეს ხელთ, სოხუმის მოსახლეობის უმრავლესობა იძულებული გახდა სხვაგან ეძებნა თავშესაფარი).

მართალია, სწორედ ქალაქები ღებულობდნენ 1992-1995 წლებში ჰუმანიტარული დახმარების უდიდეს ნაწილს (სხვა საქმეა, რომ ის უღარიბეს მოსახლეობამდე ყოველთვის როდი აღწევდა) და ნორმირებულ პურს, მაგრამ ქალაქელთა უმრავლესობას არც ჰქონდა სურსათის სხვა წყარო. ამიტომაც სოფლად ცხოვრება საკმაოდ მოულოდნელად უფრო ხელსაყრელი გახდა: რამდენიმე წლით ადრე იმავე სოფელებების უმრავლესობა ქალაქში ცხოვრებას ამჯობინებდა. ეს ტენდენცია გამოიკვეთა მცირე მასშტაბის სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებშიც, რაზეც მომდევნო თავში იქნება მსჯელობა.

დიდი ქალაქის ის მცხოვრებნი, რომელთაც მიწა ან ნათესაური კავშირები აქვთ სოფელში, ახერხებენ ადგილობრივი სოფლის მეურნეობის სიკეთით სარგებლობას. არამკვიდრ მოსახლეობას ასეთი საშუალება ნაკლებად გააჩნია. როგორც ჩანს, ეკონომიკურმა სიღუჭჭირემ უზიძვა ქალაქის არაქართულ მოსახლეობას ინტენსიური ემიგრაციისაკენ.

და მაინც, ქალაქიდან სოფელში მიგრაცია 1990-იან წლებში მასობრივი

მოვლენა არ გამხდარა და ბევრ შემთხვევაში სეზონურ მიგრაციას არ გაცდილებია, ანუ ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევრი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების პერიოდში, მოსავლის აღებამდე, ცხოვრობს სოფელში, ზამთარს კი ისევ ქალაქში ატარებს.

ყველაზე მეტად ეკონომიკურმა კრიზისმა დააზარალა სამრეწველო ქალაქები (მაგალითად, რუსთავი) და ის მცირე ქალაქები და მათი მიმდებარე სოფლები, რომლებისთვისაც დასაქმებას იძლეოდა მრეწველობის ერთი დარგი ან ერთი-ორი დიდი საწარმო. მაგალითად, ჭიათურაში - მანგანუმის, ტყიბულში - ქვანახშირის ამოღების შეწყვეტამ, ზესტაფონში - ფეროშენადნობთა ქარხნის გაჩერებამ (სიმძლავრეების გამოყენების მკვეთრი დაცემა გაჩერების ტოლფასია) ათასობით უმუშევარი შექმნა, რომელთაც ადგილზე ალტერნატიული არასასოფლო-სამეურნეო დასაქმების მონახვის საშუალება არა აქვთ; მთაგორიანი ზემო იმერეთის მიწის მცირე ნაკვეთები მათ ვერ მოუტანს სასურსათო მინიმუმსაც კი, რომ არაფერი ვთქვათ სერიოზულ მატერიალურ კეთილდღეობაზე. წვრილი ვაჭრობის სფერო შეზღუდულია ადგილობრივი მოსახლეობის უსახსრობის გამო.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა ბევრ სხვა მცირე, არასამრეწველო ქალაქში, თუმცა ამ უკანასკნელთა მოსახლეობას სოფელთან და სოფლის მეურნეობასთან მაინც აქვს კავშირი.

ერთადერთ გამოსავლად მცირე ქალაქებისა და სოფლის უმუშევრად დარჩენილ მცხოვრებთათვის რჩება შრომითი მიგრაცია დიდ ქალაქში ან საზღვარგარეთ. მიგრაციის პირველი ცდა, ბუნებრივია, საქართველოს დიდ ქალაქში ხორციელდება. იქ კი მართალია, დასაქმების მეტი საშუალებაა, ვიდრე, ვთქვათ, ჭიათურაში, მაგრამ ნაკლებ კვალიფიციური შრომის ბაზარზე ყველა ნიმა უკვე დაკავებულია ადგილობრივი სამრეწველო საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაკებით (ფაქტობრივად - უმუშევრებით) ან აფხაზეთიდან დევნილებით. მაგალითად, წვრილი საცალო ვაჭრობა მთელ რიგ ბაზრობაზე, მეტადრე თბილისში, ამ უკანასკნელთა მიერაა მონოპოლიზირებული. მათ კი, თუნდაც არასაკმარისი ეფექტიანობითა და თანმიმდევრულობით, მაგრამ მაინც უწევს მფარველობას სახელმწიფო.

მიგრანტებს საქართველოს სხვა რაიონებიდან თბილისშიც უჭირთ დასაქმების მონახვა. რჩება საზღვარგარეთ შრომითი ემიგრაციის შანსი, რომელიც დიდ რისკთან არის დაკავშირებული: ენის სუსტი ცოდნა, პროფესიული მოუზადებლობა, დამნაშავეთა სამყაროსთან მოსალოდნელი "კონტაქტები" ყველას როდი გაუჩენს ემიგრაციის მიმზიდველობის გრძობას. ამიტომ უმეტესობა ისევ სამშობლოში დარჩენას ამჯობინებს.

მდგომარეობის ნორმალიზაციის შემდეგ, რაშიც, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ეკონომიკის, მეტადრე კი - მრეწველობის - გამოცოცხლება, შიდა მიგრაციის სურათი მკვეთრად შეიძლება შეიცვალოს. მაგრამ თბილისი მაინც შეინარჩუნებს მიგრანტების მთავარი მიმზიდველის როლს.

10. თანამედროვე მიგრაციის სოციოლოგიური მეთოდით შესწავლის ცდა

ვინაიდან ბოლო პერიოდის მიგრაციის შესახებ ინფორმაცია არც ისე უხვია, ჩავატარეთ ასეთი სახის ინფორმაციის სოციოლოგიური მეთოდის გამოყენებით მოპოვების ერთგვარი ექსპერიმენტი. გამოკვლევის ბიუჯეტი არ იძლეოდა სრულმასშტაბიანი სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარების საშუალებას, ამიტომ იმას, რაც განხორციელდა, პირობითად "პილოტაჟური გამოკვლევა" შეიძლება ვუწოდოთ. მას არ შეიძლება ჰქონდეს სრულყოფილების პრეტენზია. წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ სასურველი იქნება ანალოგიური კვლევის მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარება, რაც ბევრად უფრო დამაჯერებელ მასალას მოგვცემს. მაგრამ მიღებული შედეგებიც გვაძლევს გარკვეულ საფუძველს გამოვიტანოთ წინასწარი დასკვნები მიგრაციის ძირითადი ტენდენციების შესახებ და მოვახდინოთ კვლევის მეთოდიკის, უპირატესად შერჩევისა და ანკეტის, აპრობირება.

შერჩეულ იქნა ოთხი პირველადი შერჩევის ერთეული (პშე): ორი მრავალსართულიანი სახლი ქ.თბილისის ორ სხვადასხვა უბანში (საბურთალოზე და დიდ დიღომში) და თითო სოფელი გურჯაანისა და სამტრედიის რაიონებში. თითოეულ პშე-ში გამოიკითხა 50-50 ოჯახი (ერთ შემთხვევაში - 51 ოჯახი). მრავალსართულიან სახლებში ეს იყო ორ-ორი სადარბაზო, სადაც გამოიკითხა ყველა ოჯახი (შეძლებისდაგვარად ინფორმაცია მიღებულ იქნა დაკეტილი ბინების მცხოვრებთა შესახებაც, თუ მეზობლებს სრული ინფორმაციის მოცემა შეეძლოთ), ხოლო სოფლებში თითო უბანი ქუჩის ორივე მხარეს მდებარე 50 სახლით (სოფლად უფრო ადვილი აღმოჩნდა ინფორმაციის მიღება იმ სახლის მცხოვრებთა შესახებ, რომლებიც იმჟამად არ იმყოფებოდნენ დასახლებულ პუნქტში).

ჩვენ მივიჩნით, რომ შერჩეული ერთეულის უკლებლივ ყველა კომლის**** გამოკითხვა მიგრაციისა და დასაქმების საკითხებზე არანაკლებ სიზუსტეს შეიცავს, ვიდრე შემთხვევით შერჩეული კომლების გამოკითხვა. თანაც ეს მეთოდი აადვილებდა ინტერვიუერის მუშაობას (თითოეული პშე-ს გამოკითხვას თითო ინტერვიუერი ახორციელებდა და ამისათვის საშუალოდ 5-7 დღე დასჭირდა). ხდებოდა ოჯახის (კომლის) უფროსის, ან ყველაზე კომპეტენტური პირის გამოკითხვა კომლის ყველა წევრის შესახებ.

ანკეტა ითვალისწინებდა დემოგრაფიული ინფორმაციის მიღებას კომლის უკლებლივ ყველა წევრის შესახებ, ვისაც ერთ ჰერქვეშ უცხოვრია სულ ცოტა ერთი წელი 1990 წლიდან 1997 წლის მაისის ჩათვლით, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იგი ამ საცხოვრებელში ჩაწერილი და იყო თუ არა სისხლით ნათესავი. მონაცემები შეიკრიბა ამ პერიოდში გარდაცვლილთა და ახალდაბადებულთა შესახებაც.

სულ მიღებულ იქნა ინფორმაცია 100 სასოფლო და 101 საქალაქო კომ-

ლის შესახებ. საერთო ჯამში ამ 201 კომლში 1990-1997 წლებში სულ ცოტა ერთი წლის მანძილზე უცხოვრია 916 ადამიანს: ქალაქში 467-ს (51%), სოფლად - 449-ს (49%). მათ შორის ამ პერიოდში გარდაიცვალა 29 ადამიანი (14 ქალაქად და 15 - სოფლად), ხოლო 34 დაიბადა. კომლის საშუალო სიდიდე ყველა წევრის ჩათვლით იყო 4.6 (გარდაცვლილთა ჩათვლით; ასე რომ საშუალოწლიური სიდიდე უფრო ნაკლები უნდა იყოს). ქალაქად მოდალური იყო 4-წევრიანი კომლი, სოფლად კი 5-წევრიანი.

კომლების წევრთა 46.4% კაცი აღმოჩნდა, 53.6% - ქალი, ანუ ეს სტრუქტურა ძალიან ახლოს იდგა 1989 წლის აღწერით დადგენილ სქესობრივ სტრუქტურასთან (შესაბამისად - 47.1% და 52.9%) [საქართველოს ოჯახები, 1992, 4]. ასაკობრივი სტრუქტურაც მეტნაკლებად ემთხვევა აღწერისდროინდელს.

იმის გამო, რომ გამოკითხვამ მცირე მასივი მოიცვა, ეთნიკური სტრუქტურა დარღვეულია (არარეპრეზენტატულია მთელი საქართველოს მიმართ): კომლის წევრებიდან 97.4% ქართველი აღმოჩნდა (თბილისში - 95.5%). შერჩეული სასოფლო რაიონები პრაქტიკულად მონოეთნიკურია და იქაური კომლის წევრების 99.3% ქართველია. ამრიგად "პილოტაჟური გამოკითხვა" რეალურად ასახავს ეთნიკურად ქართული მოსახლეობის მიგრაციულ ტენდენციებს.

რადგან გამოკითხულთა რაოდენობა მცირეა, ერთი კაცის განსხვავებულ პასუხსაც კი საგრძნობი სტრუქტურული ცვლილება შეიძლება მოჰყვეს, ამიტომ უნდა გავიმეორო, რომ აქ მოტანილი ყველა პროცენტული მაჩვენებელი მხოლოდ ძირითად ტენდენციებზე მიგვითითებს და მათი აბსოლუტიზაცია შეცდომა იქნებოდა.

მიგრაციასთან დაკავშირებით პილოტაჟური გამოკვლევის ძირითადი რაოდენობრივი შედეგები ქვემოთაა მოტანილი.

განვლილი პერიოდის მანძილზე გარდაიცვალა კომლის ყველა წევრის 3.2%. დანარჩენი 887 წევრიდან სხვაგან საცხოვრებლად წავიდა 109 (12.2%). თუ ამ ადგილნაცვალ პირთაგან გამოვრიცხავთ იმათ, ვინც იმავე დასახლებულ პუნქტში შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი (რაც შიდა მიგრაციის ნაირსახეობაა, მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება მას გვერდი ავუაროთ: თბილისში ასეთი 8 კაცი აღმოჩნდა, სოფლებში - 6), აგრეთვე სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირებსა და თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულებს, მშინ გამოდის, რომ 7 წლის განმავლობაში მიგრაციულ გასვლაში მონაწილეობდა ქალაქის (აქ: თბილისის) მოსახლეობის - 11.7% (453-დან 53) და სოფლის ქართული მოსახლეობის - 6.9% (434-დან 30).

საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში ამ პერიოდში გადასახლდა ქალაქელების 3.4% (მათ შორის ნახევარზე მეტი სოფელში წავიდა) და სოფლელების - 5.3% (მათ შორის ნახევარი თბილისში წავიდა). ეს არის შიდა მიგრაციის შემადგენელი ნაწილი (გასვლა).

გამოკითხვის შედეგების მიხედვით საქართველოს ფარგლებს გარეთ ამ პერიოდში წავიდა (და ახლაც იქ ცხოვრობს) ქალაქელების 8.3% და სოფელელების - 1.6%. ეს არის გარე მიგრაციის შემადგენელი ნაწილი (გასვლა).

თუ პირობითად მოვახდენთ ამ უკანასკნელი მაჩვენებლების ექსტრაპოლაციას თბილისის მთელ მოსახლეობაზე და საქართველის სოფლის მთელ ქართულ მოსახლეობაზე, რაც 1989 წელს შესაბამისად შეადგენდა 1243 ათას და 1585 ათას ადამიანს (გამოთვლა გაკეთებულია შემდეგი წყაროს მიხედვით: [საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, 1991]), მივიღებთ, რომ ამ პერიოდში საზღვარგარეთ უნდა გასულიყო 103 ათასი თბილისელი და 25 ათასი სოფლის ქართველი მცხოვრები. ხოლო თუ ექსტრაპოლაციას მოვახდენთ საქართველოს ქალაქისა (3036 ათასი - 1989 წელს) და სოფლის (2407 ათასი) მთელ მოსახლეობაზე, ემიგრირებულთა რაოდენობა იქნებოდა შესაბამისად 255 ათასი და 38 ათასი ადამიანი. ვინაიდან გამოკითხვამ მოიცვა უპირატესად ეთნიკური ქართველი მოსახლეობა, ხოლო არაქართველებში მიგრაციული აქტიურობა საგრძნობლად უფრო მაღალია, ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ ემიგრაციაში კიდევ უფრო მეტია წასული, ვიდრე ექსტრაპოლაციის შედეგად ვივარაუდებთ.

ქალაქიდან წასულ ემიგრანტთა გეოგრაფიული სტრუქტურა გამოკითხვის შედეგების მიხედვით ასეთი იყო: 48.6% რუსეთის ფედერაციაშია წასული, 22.9% - გერმანიაში, ამდენივე ისრაელში, 8.6% - საბერძნეთში, 5.7% - ჩრდილოეთ ამერიკაში (აშშ, კანადა). ეს სტრუქტურაც ძირითადად შეესაბამება ოფიციალური წყაროებიდან მიღებულს. სოფლის ემიგრანტთა აბსოლუტური უმრავლესობა (85%) ემიგრაციის რეგიონად ირჩევდა რუსეთის ფედერაციას. მოსახლეობის ემიგრაციაში წასვლის მიზეზები უპირატესად სოციალურ-ეკონომიკურია.

რაც შეეხება მოსახლეობის მოსვლას, ამ პერიოდში თბილისში გამოკითხულ კომპლექსში სხვა ადგილიდან მოვიდა 16 ადამიანი, ანუ ქალაქის მთელი ქვემასივის 3.5% ახალმოსულია. ყველა მიგრანტი საქართველოს რომელიმე სხვა დასახლებული პუნქტიდან მოვიდა (გამოკითხვამ არც ერთი იმიგრანტი არ გვიჩვენა), მათ შორის 56% აფხაზეთიდან პოლიტიკური მიზეზით ღვენილი იყო. სოფლებში სულ 5 ადამიანი შემოსულა (მთელი ქვემასივის 1.1%), მათ შორის ერთი - აფხაზეთიდან.

შეჯამების სახით ვიტყვოდი, რომ "პილოტაჟური გამოკითხვის" შედეგებიც, მიუხედავად მცირე მასშტაბისა, ეთანხმება სხვა მეთოდების მეშვეობით გამოტანილ დასკვნას, რომ საქართველოს სოფლის მოსახლეობა ძირითადად თბილისში მიგრირებს, ხოლო ქალაქის მოსახლეობა უფრო მობილურია, ვიდრე სოფლისა, განსაკუთრებით გარე მიგრაციების თვალსაზრისით. ამასთან, ქალაქელთა შორის ბოლო პერიოდში საკმაო იყო "რურალისაციის" პროცესში მონაწილეთა წილი.

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ა

გ ა რ ე მ ი გ რ ა ც ი ე ბ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ :

◆ 1950-იანი წლებიდან საქართველოში აღინიშნებოდა უარყოფითი მიგრაციული საღლო. მაგრამ თუ 1990-იან წლებამდე ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივი ნამატი გარე მიგრაციულ დანაკლისს აკომპენსირებდა, 1990-იან წლებში ემიგრაციის ნაკადმა გადაფარა იმიგრაციისა და ბუნებრივი ნამატის ჯამი და მოსახლეობის კლებაზე იმოქმედა.

◆ დამოუკიდებლობის აღდგენის მიჯნაზე საქართველო უკვე იყო აქტიური ემიგრაციის ქვეყანა. უპირატესად ეთნიკური ნიშნით ქვეყანას ტოვებდნენ მისი ის მოქალაქეები, რომლებიც ვერ ხედავდნენ თავიანთ და თავისი შვილების მომავალს ახალ საქართველოში. განსაკუთრებით ინტენსიური იყო სლავების (ერთად აღებული ეთნიკური რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების), ოსების, ებრაელების, ბერძნების გასვლა. მაგრამ დიდი იყო ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ემიგრაციაც, რასაც 1990-იანი წლების პირველ ნახევარში განაპირობებდა საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება.

◆ ემიგრაციის ძირითადი ფაქტორები სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისაა. მოსახლეობას ემიგრაციისაკენ უბიძგებდა ეკონომიკური კრიზისი, უმუშევრობა, აგრეთვე კრიმინალური თარეში, რაც 1992-1994 წლების საქართველოში განსაკუთრებით სწიმ სოციალურ პრობლემას წარმოადგენდა. საკმაოდ გამოვლენილი იყო "მიმზიდავი" ფაქტორიც - უკეთესი ეკონომიკური ვითარება პოტენციური ემიგრაციის ქვეყნებში (დსთ-ს გარეთ).

◆ პოლიტიკური ტიპის ფაქტორები - სახელმწიფო ენის არცოდნა, ორმაგ მოქალაქეობაზე დაუკმაყოფილებელი პრეტენზია - არ შეიძლება ეთნიკური ნიშნით ემიგრაციის სერიოზულ მოტივებად განვიხილოთ: "საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის კანონი" არავითარ დისკრიმინაციას არ ქმნის ქართული ენის არმცოდნეთათვის, ორმაგ მოქალაქეობას კი კანონი სხვა სახელმწიფოების უმრავლესობაშიც კრძალავს.

◆ მას შემდეგ, რაც საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესება დაიწყო, ემიგრაცია შენელდა. მაგრამ ეთნიკურად არაქართული ჯგუფების სიჭარბე ემიგრანტთა შორის გვაფიქრებინებს, რომ მათ მაინც ბოლომდე შეუქცევადად არ მიაჩნიათ საქართველოში ინტენსიურად მიმდინარე პოლიტიკური სტაბილიზაციის პროცესი და ამჟამად არსებული ტოლერანტული ატმოსფერო, ანუ "ხვალინდელი დღის ბოლომდე ნდობა" არ შეუძლიათ. არ არის გამორიცხული, რომ ასეთ განწყობაზე ზე-

მოქმედებს აფხაზეთის პრობლემის მოუგვარებლობა და ამ საქმეში გარეშე ძალის თითქმის დაუფარავი ნეოიმპერიალისტური ჩარევა, რაც ქვეყანაში დესტაბილიზაციის მუდმივ საფრთხეს ქმნის.

◆ იმას, რომ ბოლო წლებში მოსახლეობის გასვლის ტალღა თანდათან ნელდება, ძირითადად განაპირობებს შიდა ფაქტორები - ქვეყანაში გამოკვეთილი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესი, აგრეთვე ემიგრანტთა პოტენციური ბაზის ბუნებრივი შემცირება საქართველოში. გარკვეულ როლს თამაშობს გარე ფაქტორებიც: პოტენციური ემიგრაციის ქვეყნებში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, არაოფიციალური ან სავსებით ოფიციალური შეზღუდვები დსთ-ს ყველა ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდან, იმიგრაციისათვის (მაგალითად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და აშშ-ში).

◆ საქართველოს ახალგაზრდობის მცირე ნაწილი საზღვარგარეთ სასწავლად მიდის, უპირატესად დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის უნივერსიტეტებში. რუსეთში სასწავლად წასვლა მკვეთრად შემცირდა. მოსალოდნელია, რომ წასულთა ნაწილი საბოლოოდ დამკვიდრდება საზღვარგარეთ, მაგრამ უმრავლესობა მაინც დაუბრუნდება საქართველოს, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კვალდაკვალ

◆ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ფაქტობრივად საქართველოს ფარგლებს გარეთ ემიგრირებულთა საერთო რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც დაახლოებით 700 ათასი ადამიანი, მათ შორის ნახევრამდე ეთნიკურად ქართველია.

◆ საერთო ჯამში საქართველოს მოსახლეობის შრომითი ან სასწავლო მიზნით ემიგრაციის პროცესს ცალსახად ვერ შევაფასებთ. მას აქვს გარკვეული ნეგატიური ასპექტები (მაგალითად, "ტვინის გადინება", დემოგრაფიული პოტენციალის შესუსტება და სხვ.), მაგრამ პოზიტიურიც ახლავს თან: ამკარაა, რომ დაბრუნდება ეთნიკურად ქართველი ემიგრანტების საგრძნობი ნაწილი, რომელიც საბაზრო ეკონომიკისათვის უკეთ იქნება მომზადებული (თუ ემიგრაციის პერიოდში რუსეთს გასცდა, ბუნებრივია), რაც ქვეყნის შემდგომ განვითარებას წაადგება. გარდა ამისა, დროებითმა ემიგრაციამ ერთგვარად შეარბილა უმუშევრობის წნეხი საქართველოში, ხოლო მიგრანტების მიერ საზღვარგარეთიდან შემოტანილი (გადმოგზავნილი) თანხა მრავალი ოჯახისათვის ერთადერთი საარსებო საშუალება იყო (და, არც თუ იშვიათად, დღემდე არის).

◆ პროგნოზის სახით შეიძლება ითქვას, რომ არაქართული ეთნიკური ჯგუფების ემიგრაცია უახლოეს მომავალში რაოდენობრივად შემცირდება, მაგ-

რამ მაინც უფრო ინტენსიური იქნება, ვიდრე ქართველებისა და მოსალოდნელია, რომ უკვე 1999 წლის აღწერამ ასახოს მოსახლეობის ეროვნულ სტრუქტურაში საკმაოდ მკვეთრი ცვლილება, კერძოდ, ეთნიკური ქართველების გაზრდილი ხვედრითი წონა.

შ ი დ ა მ ი გ რ ა ც ი ი ს დამახასიათებელ ტენდენციებს შორის აღნიშვნის ღირსია შემდეგი:

◆ საქართველოს შიგნით ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა მიგრაციულად უფრო მობილურია, ვიდრე ეთნიკური უმცირესობები; სოფლის მოსახლეობა საქალაქოსთან შედარებით უფრო ნაკლებ მობილური გახდა, ვინაიდან ეკონომიკურმა გაჭირვებამ ბევრი სოფლელი და ზოგი ქალაქელიც კი აიძულა ნატურალურ მეურნეობაზე გადასულიყო.

◆ ყველაზე მეტად ეკონომიკურმა კრიზისმა დააზარალა სამრეწველო ქალაქები და ის მცირე ქალაქები და მათი მიმდებარე სოფლები, რომლებისთვისაც დასაქმებას იძლეოდა მრეწველობის ერთი დარგი ან ერთი-ორი დიდი საწარმო. ამ რეგიონების ათიათასობით უმუშევარმა დიდ ქალაქებს მიამურა, განსაკუთრებით თბილისს. იქ კი, მართალია, დასაქმების მეტი საშუალებაა, ვიდრე მცირე ქალაქებში, მაგრამ ნაკლებ კვალიფიციური შრომის ბაზარზე ყველა ნიშა უკვე დაკავებულია ადგილობრივი სამრეწველო საწარმოებისა და დაწესებულებების ფაქტობრივი უმუშევრებით ან აფხაზეთიდან დევნილების მიერ.

◆ აფხაზეთში ეთნიკური წმენდის შედეგად დევნილების (განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობის) სოციალური ადაპტაცია ქალაქებში (მათი დროებითი განსახლების ადგილებში) რთულია. დასაქმების ძირითად სფეროდ მათ ექცათ წვრილი ვაჭრობა ქუჩებსა და ბაზრობებზე, სხვადასხვა დროებითი, ნაკლებ კვალიფიციური სამუშაო. მათი მშობლიურ კერაზე დაბრუნება საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

◆ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები ეთანხმება დასკვნას, რომ საქართველოს სოფლის მოსახლეობა ძირითადად თბილისში მიგრირებს, ხოლო ქალაქის მოსახლეობა უფრო მობილურია, ვიდრე სოფლისა, განსაკუთრებით გარე მიგრაციების თვალსაზრისით. ამასთან, ქალაქელთა შორის ბოლო პერიოდში საკმაო იყო ე.წ. "რურალიზაციის" პროცესში მონაწილეთა წილი. ეს უკანასკნელი ეკონომიკური კრიზისის ფონზე ხდებოდა, მაგრამ ეს მოვლენა ხანმოკლევადიანად უნდა მივიჩნიოთ: მას ისევ შეცვლის ურბანიზაციის პროცესი.

◆ მდგომარეობის ნორმალიზაციის შემდეგ, რაშიც, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ეკონომიკის სერიოზული გამოცოცხლება, შიდა მიგრაციის სუ-

რათი მკვეთრად შეიძლება შეიცვალოს. მაგრამ თბილისი მაინც შეინარჩუნებს მიგრანტების მთავარი მიმზიდველის როლს.

და ბოლოს, არსებობს თუ არა საფრთხე, რომ "საქართველოს მოსახლეობა და, განსაკუთრებით, ქართველობა შეიძლება გადაშენდეს მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციის წყალობით?"

ძნელია არ დაინახო საფრთხე მასობრივ ემიგრაციაში. მიუხედავად ამისა, თუმცა ემიგრაციის მაჩვენებლები შთამბეჭდავია, განვითარების ლოგიკა გვკარნახობს, რომ გარკვეულ ეტაპზე მოხდება მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაცია და, უფრო სავარაუდოა, მისი მატებაც კი. მოსახლეობის ემიგრაციის შედეგად შექმნილი დემოგრაფიული საფრთხე არსებობს, ოღონდ არც იმდენად დიდი, რომ მის უკან ქართველი ერის გადამწევის კატასტროფა დავინახოთ. ეს არ ნიშნავს, რომ არ გვჭირდება აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება. პირიქით, ის აუცილებელია. მაგრამ ასეთ პოლიტიკას ესაჭიროება დიდი ფინანსური წყარო, რომელიც ეკონომიკური აღმავლობის გარეშე არ შეიქმნება. ხოლო თუ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტემპები და, შესაბამისად, დასაქმების საშუალება მკვეთრად გაიზრდება, ეს თავისთავად შეცვლის მიგრაციული ნაკადების მიმართულებას და უკან მოიზიდავს ბევრ "უძღებ ვილს".

მადლობა

ავტორი სასიამოვნო მოვალეობად მიიჩნევს მადლობა უძღვანას ყველა იმ პირს, ვინც დახმარება აღმოუჩინა ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებაში: გეოგრაფებს - ვაჟა გუჯაბიძეს, ზურაბ დავითაშვილს და ფერიდე ზურიკაშვილს; საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლებს - მანანა სხირტლაძეს და თეიმურაზ გოგიშვილს; სახელმწიფო სტატისტიკის თბილისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომელს არეტა მოსავლიძეს; ინტერვიუერებს - მაია შამუგიას, სოფიკო რცხილაძეს, თამუნა ბანძავს და ნანა ჭინჭარაძეს; თამარ ბაგრატიას.

შენიშვნები

* მირიან ტუხაშვილს თავის წიგნში "საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია" [ტუხაშვილი, 1996] 1990-1992 წლებისათვის სხვა მონაცემები აქვს მოტანილი (ეკვვარეშეა, ისინიც სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებშია აღებული), ხოლო 1993 წლის მისი მონაცემები ემთხვევა ჩვენს მიერ. აღსანიშნავია, რომ მასთანაც უაყოფითი გარემიგრაციული საღღო იკვეთება.

** არაპირდაპირი მეთოდით შეიძლება დავადგინოთ, რა მოცულობას შეიძლება შეადგენდეს შრომითი ემიგრანტების მიერ საქართველოში შემოტანილი თანხა.

ჩამოყალიბებულ საბანკო სისტემის მქონე ქვეყნებში, საღაც მოსახლეობა

ბანკებს ენდობა და სახელმწიფო სხვადასხვა შეღავათებით ახალისებს საზღვარგარეთიდან ფულად გზავნილებს (remittances), უცხოეთში მყოფ თანამემამულეთა შენატანი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში საკმაოდ საგრძნობია. მაგალითად, ჩვენს მუშობელ თურქეთში უცხოეთში მყოფი თურქი მუშებისა (გერმანიაში მათ Gastarbeiter-ებს უწოდებენ) და სპეციალისტების მიერ ყოველწლიურად 2,5-3 მილიარდი დოლარი იგზავნება. ეს კი თითქმის ფარავს ქვეყნის საგარეო სავაჭრო დეფიციტს.

როგორც ჩანს, საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის თვალნათელი გაუმჯობესების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია საზღვარგარეთიდან შემოსული თანხები. თუ დავუშვებთ, რომ დარჩენილი კომლის წევრებს საზღვარგარეთიდან ეხმარება ერთი (ან რამდენიმე წევრი) და თვითრად უგზავნის 150-200 დოლარს (ან ეკვივალენტს სხვა ვალუტით) ეს საშუალოდ წლიურად 2000 დოლარის დახმარებაა ($\pm 10\%$). თუ ჩავთლით, რომ ასეთ დახმარებას ღებულობს 200 ათასამდე კომლი საქართველოში (საზღვარგარეთ გასული 250-280 ათასი შრომითი მიგრანტისაგან), მაშინ საქართველოში ამ გზით წლიურად შემოდის 400 მილიონამდე დოლარი ($\pm 10\%$). ეს არის ყველაზე ფრთხილი შეფასება.

სინამდვილეში საქართველოში შემოდის ალბათ ბევრად უფრო მეტი, პრაქტიკულად აღურიცხავი ვალუტა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში მცხოვრები უცხოელები ("შრომითი იმიგრანტები") – კომპანიების, დიპლომატიური მისიების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები – აქ ხარჯავენ საზღვარგარეთიდან შემოტანილ თანხას (ბინაზე, კვებაზე, ტრანსპორტზე, გართობაზე და ა.შ.).

*** 1989 წელს მოსახლეობის ბუნებრივმა ნამატმა შეადგინა 44.1 ათასი; 1990 წელს - 46.8; 1991 წელს - 42.6; 1992 წელს - 25.9; 1993 წელს - 12.2; 1994 წელს - 10.2; 1995 წელს - 18.5; 1996 წელს - 19.3; [წყაროები: საქართველოს სოციალურ-..., 1996, 12; საქართველოს სოციალურ-..., 1997, 35; სოციალური და დემოგრაფიული..., 1996; Georgia in Figures, 1994; Georgia in Figures, 1996].

**** ვამოხიბნენ ტერმინი "კომლი", რომელიც უკეთ ასახავს ერთი საცხოვრებლის მკვიდრთ, ვიდრე "ოჯახი" (შდრ. ინგლისური ტერმინი "household", რომელიც განსხვავდება ტერმინისაგან "family"). არსებითად ერთი კომლი შეიძლება რამდენიმე ოჯახურ წევრს მოიცავდეს თავიანთი შვილებითურთ ან ოჯახის არაწევრებსაც (მაგრამ კომლის წევრებს), რომლებიც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ და ერთად იკვებებიან. კომლი შეიძლება ნუკლეარულ ოჯახსაც ემთხვეოდეს და ეს ყველაზე გავრცელებული შემთხვევა იყო ჩვენი გამოკვლევის დროს.

გამოყენებული ლიტერატურის სია

თბილისის მოსახლეობა, განზრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა: სტატისტიკური კრებული [1989]. სახელმწიფო სტატისტიკის თბილისის საქალაქო სამმართველო. თბილისი თითამე, ანზორ [1993]. საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი. გამოქვეყნდა "სამშობლო", თბილისი

მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლისა. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. განყოფილება I: ეროვნება - დედა ენა - წლოვანება - წერა-კითხვის ცოდნა [1929]. ა/კ ს.ფ.ს.რ. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს გამოცემა. ტფილისი

ნათქვამე, მ. [1993]. დემოგრაფიული პროცესები საქართველოში 1940-იან წლებში (თურქებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების დეპორტაცია საქართველოდან 1941-1951 წწ.). "მეცნიერება", თბილისი

რეზონანსი (გაზეთი), 16 აგვისტო 1997

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა [1991]. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი, თბილისი საქართველოს ოჯახები (მოსახლეობის 1989 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით) [1992].

საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა. სტატისტიკური კრებული [1991]. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი, თბილისი

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. სტატისტიკური კრებული [1991]. საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი, თბილისი

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1996 წელს [1997]. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა: 1996 წლის იანვარ-მარტი. [1996]. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა: 1997 წლის იანვარი-მარტი. [1997]. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი

სოციალური და დემოგრაფიული მდგომარეობა [1996]. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი

Arakelian-Kharatian, Hranush & Vladimir Ossi pov [1997]. No More Problems. *War Report* (Bulletin of the Institute for War and Peace Reporting). No 48, pp. 28-29

Beissinger, Mark R. [1996]. State Building in the Shadow of an Empire-State: The Soviet Legacy in Post-Soviet Politics. in: Karen Dawisha & Bruce Parrot (eds.) *The End of Empire? The Transformation of the USSR in Comparative Perspectives* (The international Politics of Eurasia, vol. 9). M.E.Sharpe, Armonk, N.Y. & London

Corley, Felix [1997]. Peoples on the Move. *War Report* (Bulletin of the Institute for War and Peace Reporting). No 48, pp. 22-23

Davitashvili, Zurab [1997]. *Migration Processes in Contemporary Georgia* [unpublished paper]

Dictionary of Human Geography [1994]. Eds: R.J.Johnston, Derek Gregory & David M. Smith. 3rd Edition. Blackwell, Oxford

Gachechiladze, Revaz [1988]. Analysis of Regional Differences in Material Welfare of the Population: the Georgian SSR. *Soviet Geography*, XXIX, No 4, pp. 413-419

Gachechiladze, Revaz [1995]. *The New Georgia: Space, Society, Politics*. UCL Press, London

Gachechiladze, Revaz & Michael Bradshaw [1994]. Changes in the Ethnic Structure of Tbilisi's Population. *Post-Soviet Geography*, January. pp. 56-59

Georgia in Figures, 1994. [Committee for Social and Economic Information of the Republic of Georgia, Tbilisi, 1995]

- Georgia in Figures, 1996*. [Department of State Statistics of Georgia, Tbilisi, 1997]
- Grigg, D. B. [1977]. E. G. Ravenstein and the "Laws of Migration". *Journal of Historical Geography*. No 3. pp. 41-54
- Huntington, Samuel P. [1996]. *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order*. Simon and Schuster. New York
- Айрапетова, Наталья [1997]. Миграция _ проблема прежде всего экономическая: для ее решения нужно повысить статус ФМС РФ, считает руководитель миграционной службы Татьяна Регент. *Независимая газета*, 18 июня 1997
- Гачечиладзе, Реваз [1993]. Общественное мнение Грузии об отношениях с Россией. *Свободная Мысль*, No 12. сс. 105-110
- Гуджабидзе, Важа [1983]. Городские агломерации Грузии (проблема делимитации больших городских агломераций). В: Р. Гачечиладзе (ред.) *Проблемы географии населения и пространственной организации*. Изд-во Тбилисского университета, Тбилиси, 1983, сс. 132-174
- Демографический ежегодник России 1996* [1996]. Госкомстат России. Москва
- Первая всеобщая перепись населения Российской Империи 1897 года* [1905]. Том 2. Санкт-Петербург
- Сванидзе, Гурам [1994]. *Эмиграция из Грузии и ее причины*. Кавказский институт мира, демократии и развития. Тбилиси
- Челноков, Алексей [1994]. "Живи и терпи": одержав победу в войне, Сухуми уже полгода проигрывает сражение с разрухой и преступностью. *Известия*. 9 апреля

ავტორის შესახებ

რევაზ გაჩეჩილაძე – გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრის გამგე და პროფესორია. ამავე დროს იგი არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. არჩეულია საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად და ქართველ გეოგრაფთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარედ.

რევაზ გაჩეჩილაძეს გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი შრომა, მათ შორის 15 წიგნის ან ბროშურის სახით. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა 30-ზე მეტი სოციოლოგიური გამოკვლევა. მისი ინგლისურ ენაზე დაწერილი მონოგრაფია "ახალი საქართველო: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა" 1995 წელს ერთდროულად გამოიცა დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში.

რევაზ გაჩეჩილაძე კითხულობს ლექციებს და ლექციათა კურსებს დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის, საფრანგეთის, თურქეთის, პოლონეთის უნივერსიტეტებში.

